საქართველოს ისლამური აბანოების კვლევა-დოკუმენტირება სამცხის და კახეთის რეგიონებში



Survey and Documentation of Islamic Baths in Samtskhe and Kakheti regions of Georgia

თბილისი 2023
Tbilisi 2023

წინამდებარე ნარკვევში განხილულია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი და აღმოსავლეთი ისტორიული მხარეების (სამცხე, კახეთი) გვიანი შუა საუკუნეების ისლამური აბანოები.

Presented research is dealing with the architecture of late medival islamic baths located in southwestern and eastern historical regions (Samtskhe, Kakheti) of Georgia

პროექტი შესრულდა „The Barakat Trust“ - ის ფინანსური დახმარებით.
ICOMOS საქართველო მადლობას უხდის დონორ ორგანიზაციას მხარდაჭერისათვის

This project was implemented with the financial aid of The Barakat Trust.
ICOMOS Georgia extends its gratitude to the donor organization for its support

BARAKAT

ICOMOS საქართველო
ICOMOS Georgia

დახმარებისთვის მადლობას ვუხდით: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის თანამშრომლებს: მაია მანიას და მანანა სურამელაშვილს; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს: იოსებ კვანტალიანს, იოსებ ორაგველიძეს, მადონა გაგოშიძეს, ლანა ბაზლიძეს, შალვა ლეჟავას; არქეოლოგებს: გიორგი ლაღიაშვილს და ლალი ახალაიას; თელავის ისტორიული მუზეუმის დირექტორს გურამ ურჩუხიშვილს, მუზეუმის არქივის ხელოვნების ფონდის მცველს ქეთევან ხუციშვილს, მუზეუმის მთავარ შემნახველს მარიამ ოხანაშვილს; თელავის მერიის ძეგლთა დაცვის სექტორის უფროსს ლიკა ალადაშვილს; სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორს ციური ლაფაჩს, ახალციხის მერიის ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსს რევაზ ანდღულაძეს; არქიტექტორ-რესტავრატორებს: თამარ ნემსაძეს, რუსუდან გურამიშვილს, ნინო ბაგრატიონს, გიორგი ბაგრატიონს, ერეკლე ნაროუშვილს, პაატა ნუცუბიძეს, მიხეილ გელაშვილს, ეთერ მახათელაშვილს, მათე სულხანიშვილს და ნანა ინწკირველს.

იშვიათი საილუსტრაციო მასალის მოწოდებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ევროპული გრავიურების და რუკების კოლექციონერს, სულხან სალაძეს.

პროექტის დაგეგმვა-განხორციელების დროს გაწეული დახმარებისა და პროფესიული რჩევების გაზიარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ICOMOS საქართველოს თავმჯდომარეს ნატო ცინცაბაძეს.

ელექტრონულ გამოცემაში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული არქივის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და თელავის ისტორიული მუზეუმის საარქივო მასალა.

ფოტოების ავტორები: ლია ბოკუჩავა, მიხეილ გელაშვილი, ნინო კორძახია, შალვა ლეჟავა, მანანა სურამელაშვილი, ციცინო ჩაჩხუნაშვილი.

ნახაზები და ჩანახატები შეასრულეს ლია ბოკუჩავამ, ნინო კორძახიამ, ეთერ მახათელაშვილმა.

In the electronic edition the archival materials of National Archives of Georgia, National Parliamentary Library of Georgia, National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia and Telavi Historical Museum are used.

The authors of the photographs are: Lia Bokuchava, Tsitsino Chachkhunashvili, Nino Kordzakhia, and Manana Suramelashvili.

Drawings and sketches, by Nino Kordzakhia, Lia Bokuchava, and Etheri Makhatelashvili.

საპროექტო ჯგუფი

ციცინო ჩაჩხუნაშვილი, ხელოვნებათმცოდნე (გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, ICOMOS საქართველო)

ირინე ელიზბარაშვილი, ხელოვნებათმცოდნე (გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, ICOMOS საქართველო)

ლია ბოკუჩავა, არქიტექტორ-რესტავრატორი (ICOMOS საქართველო)

ნინო კორძახია, არქიტექტორ-რესტავრატორი (ICOMOS საქართველო)

მარიამ ხურცილავა, პროექტის კოორდინატორი, (ICOMOS საქართველო)

თამაზ ჩხაიძე, კომპიუტერული მაკეტი

project group

Dr. Tsitsino Chachkhunashvili, artistorian (George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation, ICOMOS Georgia)

Dr. Irine elizbarashvili, artistorian (George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation, ICOMOS Georgia)

Lia Bokuchava, architect-restorer (ICOMOS Georgia)

Nino Kordzakhia, architect-restorer (ICOMOS Georgia)

Mariam Khurtsilava, project coordinator (ICOMOS Georgia)

Tamaz Chkhaidze, Computer layout

სარჩევი

შესავალი **8**

სამცხე **11**

ახალციხე 11

აბანო, პეტრე ხარისჭირაშვილის ქუჩა № 6 19

აბანო ციხისძირის ქუჩაზე (№ 6) 42

აბანო ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე, № 98 59

აწყური **64**

აწყურის აბანო 67

კახეთი, თელავი **83**

აბანოები 98

არჩილ მეფის (ერეკლე II-ის) აბანო 98

თეიმურაზის აბანო (ძველი აბანო) 107

ალავერდის სამონასტრო აბანო 122

ნაქალაქარი გრემი **130**

ნაქალაქარ გრემის ისლამური აბანოები **142**

სავაჭრო უბნის აბანო 142

ნაქალაქარი გრემი, სამეფო უბანი 150

დასკვნა **160**

რეზიუმე (ინგლისურად) **163**

ტექსტში არსებული საარქივო დოკუმენტების სია **174**

2022 წელს შესრულებული ნახაზების და ჩანახატების სია **177**

ფოტოსურათების სია **178**

Table of contents

Introduction (Tsitsino Chachkhunashvili, Irine Elizbarashvili) **8**

Samtske (Tsitsino Chachkhunashvili) **11**

Akhaltsikhe 11

Bath on Petre Kharischirashvili Street №6 19

Bath on Tsikhisdziri Street № 42

Bath on Ekvtime Takaishvili Street №98 59

Atskuri **64**

Bath in Atskuri 67

Kakheti, Telavi (Irine Elizbarashvili) **83**

Baths 98

The King Archil's (Erekle II) bath 98

Teimurazi Bath (old bath) 107

Alaverdi monastery bath 122

The ruins of Gremi **130**

The Islamic baths in the ruins of Gremi **142**

The bath of the shopping district 142

The bath of the Royal district 150

Conclusion (Tsitsino Chachkhunashvili, Irine Elizbarashvili) **160**

English summary (Translated by Mikheil Nishnianidze) **163**

Archival documents included in the text **185**

List of drawings and sketches made in 2022 ..... **188**

List of photographs (Samtskhe) **189**

შესავალი

ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის კულტურა მდიდრდება სხვა ქვეყნებიდან მომდინარე მხატვრული ტენდენციების გაცვლა-გაზიარების შედეგად, მაშინაც — „…როცა სხვადასხვა რიგის ეს კულტურული ფასეულობანი ერთმანეთისთვის სრულიად უცხოა, სრულიად მიუღებელ რელიგიურ, პოლიტიკურსა თუ სოციალურ გარემოშია წარმოქმნილი. საქართველოს და ისლამური აღმოსავლეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა ამგვარი დამოკიდებულების ერთი თავისებური გამოვლენაა“ [1].

საქართველო, რომელიც მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნული შემოქმედებითი ხედვისა და ტრადიციების მატარებელი ქვეყანაა, თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პერიოდულად განიცდიდა მეზობელი ან დამპყრობელი ქვეყნების კულტურის გავლენას, რაც სხვადასხვა სიძლიერით აისახებოდა როგორც ყოფაში, ასევე ხუროთმოძღვრებასა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგში. ცხადია, ეს გავლენები არათანაბარი იყო და ამავდროულად, ახალ ნიადაგზე ადაპტირებისას ერწყმოდა რა ადგილობრივ ტრადიციებს, თავისებურ მხატვრულ სახეს იღებდა. ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური თუ აღმოსავლური კულტურული გავლენა ჩვენ ქვეყანაში სხვადასხვა დროს იჩენდა თავს.

ისლამის გავრცელება საქართველოში არაბობის ხანიდან (VII-IX სს-იდან) დაიწყო. თუმცა, აღმოსავლურ-ისლამური მხატვრული აზროვნების ინტენსიური დამკვიდრება ჩვენ ყოფასა და კულტურაში XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა. აღმოსავლეთ საქართველო ამ დროს ირანის პოლიტიკურ ზემოქმედებას განიცდიდა, ხოლო ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ისტორიული მხარე ზემო ქართლი — ოსმალეთისას. საქართველოსთან მიმართებით ამ ორი დიდი მუსლიმური სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მაჰმადიანი მეფეები განაგებდნენ, ხოლო ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გაბატონებული იყო მმართველობის ოსმალური სისტემა. ორივე შემთხვევაში ისლამური კულტურის გავლენა ვლინდებოდა აღმოსავლური სამყაროს მხატვრული ტენდენციების მომეტებული ასახვით ქართულ არქიტექტურაში, რაც სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის დამკვიდრებაში მდგომარეობდა: დაწყებული საკულტო ნაგებობებიდან (მეჩეთი, მინარეთი, ჯამე, მედრესე), საერო არქიტექტურის ნიმუშების ჩათვლით (მავზოლეუმი, აკლდამები, სასახლეები, ქარვასლები, აბანო).

აბანო, რომელიც ისლამური სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა, ისლამურ კულტურაში ორმაგ დატვირთვას განიცდიდა. ერთი მხრივ, ის იყო განბანასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რელიგიურ-რიტუალური ნაგებობა და მეორე მხრივ,

[1] ი. ხუსკივაძე, ისლამი სახვით ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებაში, თბ., 2018 , გვ. 8.

სოციალურ-საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელი (ჰიგიენა, ჯანმრთელობა, ურთიერთობა) შენობა. მას საფუძვლად ედო ანტიკური, კერძოდ, რომაული აბანოს სტრუქტურა და მისი გავრცელების დიაპაზონი ძალიან ვრცელი იყო. გარდა უშუალოდ ისლამური სამყაროს ქვეყნებისა, ამ ტიპის აბანოებს ვხვდებით მსოფლიოს იმ ქვეყნებში, რომლებსაც სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში განუცდია ისლამური გავლენა. თუკი ანტიკური აბანოების ძირითადი პრინციპი სხეულის მოვლა და სიამოვნების მიღება იყო, ისლამურში ძირითადი მოთხოვნა სულისა და სხეულის სიწმინდის დაცვა, მათი ერთიანობა წარმოადგენდა.

აბანოსთვის განკუთვნილი ნაგებობის შენებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა ამ სიტყვის მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში, სალიტერატურო ძეგლებსა თუ ყოველდღიურ სამეტყველო ენაში. მისი ძირი არაქართული წარმოშობისაა („აბ“ სპარსულად წყალს ნიშნავს)[2]. სულხან-საბა ორბელიანის განმარტების მიხედვით, აბანო არის „სახლი დასაბანელი“[3]. ისლამური ტენდენციები უფრო მეტად გვიანი შუასაუკუნეებიდან ჩანს აბანოების არქიტექტურაში. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ეს ის ნაგებობებია, „…რომლის მსგავსი ნაშთი მეფე ერეკლესეულს თელავის სასახლეშია დარჩენილი“[4]. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის ნაგებობებს აღმოსავლური, გვიანფეოდალური ხანის, ისლამური სამყაროდან გავრცელებული აბანოების სახელწოდებით მოიხსენიებენ.

გვიანი შუა საუკუნეების (XVI-XVIII სს.) აბანოებმა ჩვენამდე მეტ-ნაკლები სისრულით მოაღწია. აღმოსავლეთ საქართველოს მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენელთა სასახლეების, ქარვასლების და აბანოების არქიტექტურაში ამ პერიოდში გაბატონებულია ირანული ხუროთმოძღვრული ფორმები და მორთულობის დეტალები[5]. აღნიშნულ ვითარებას პირველ რიგში ქვეყნის ქალაქებმა და საზოგადოების მაღალმა ფენამ აუწყო ფეხი[6]. ამან მკვიდრი მოსახლეობის შედარებით დაბალი ფენის ცხოვრების წესზეც იქონია გავლენა, სადაც დიდი ადგილი ეკავა აბანოსთან დაკავშირებულ ყოფით ჩვევებს. აბანოები გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს საქალაქო ცხოვრების საქმიანი და სოციალური ურთიერთობის საკომუნიკაციო ცენტრი და ადგილობრივი მოსახლეობის თუ ჩამოსული სტუმრების შესაკრები ადგილიც იყო. ეს იყო სივრცე გართობა-განტვირთვისა და საქმიანი ურთიერთობების წარმოებისთვის.

გვიანი შუასაუკუნეების ისლამური ტიპის აბანოს ხუროთმოძღვრული თემა საქართველოში ქვეყნის გარედანაა შემოტანილი, მათი ფუნქციონირების ზოგადი

---

[2] ზოგიერთ მკვლევარს ისლამურ აბანოს პარალელურად მოჰყავს ამ ტიპის ნაგებობის შემდეგი დასახელებები: ჰამამი, თურქული აბანო. იხ. Magda Sibley and lein Jackson, The architecture of Islamic public baths of North Africa and the Middle East: an analysis of their internal spatial configurations, Article in Architectural Research Quarterly, Published - Jun 2012.

[3] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 1, თბ., 1991, გვ. 37.

[4] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობა ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 30.

[5] ვ. ბერიძე, XVI-XVIII სს-ის ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბ., 1983, გვ. 216.

[6] Г. Н . Чубинашвили, иранские влияния в памятниках Грузии, вопросы истории искусства, т, I, Тб, 1970, გვ. 310.

პრინციპებიც ერთმანეთის მსგავსია, თუმცა თვით ისლამური სამყაროს ქვეყნებს შორის შეინიშნება რეგიონული განსხვავებები ამ სფეროში. სხვაობა მოჩანს საქართველოს ისტორიულ მხარეებს შორისაც. მართალია, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება ადრეული შუა საუკუნეებიდანვე მიუყვებოდა განვითარების ერთიან ხაზს, მაგრამ თითოეულ ისტორიულ მხარეს საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები ახასიათებს, რასაც ადგილობრივი სამშენებლო მასალა, ტრადიცია და ოსტატობა განაპირობებდა. ყოველივე ეს ვლინდება საეკლესიო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივი დანიშნულების არქიტექტურაში. ამ თავისებურებებმა ისლამური აბანოების მშენებლობაშიც იჩინა თავი.

სამცხე

ახალციხე

მოკლე ისტორიული მიმოხილვა



1. ახალციხის ციხე და რაბათი, საერთო ხედი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Akhaltsikhe castel and surroundings. General view. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

ქალაქი ახალციხე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონული და მუნიციპალური ცენტრია. უძველეს ხანაში «აქ ამ ადგილს ერქვა ლომსიანთა და, ალბათ, იგულისხმება „გორა“ [7]. ასეთი „გორაები“ წინაპართა უძველესი საცხოვრისებია, საიდანაც წარმოიშვა ციხეები, დაბები და ქალაქები[8]». ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2,5 კმ-ის დაშორებით გამოვლენილია არქეოლოგიური ძეგლი „ამირანის გორა“ (გათხრების ხელმძღვანელი ტ. ჩუბინიშვილი), ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, სამაროვანი და სამსხვერპლო[9].

[7] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 648.
[8] ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ.1, თბ., 1960, გვ.20.
[9] ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963.

შუა საუკუნეებში ახალციხე საქართველოს შიდა და მის ფარგლებს გარეთ არსებული მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მდებარე ქალაქს წარმოადგენდა, რომელიც XIII ს-ში ჯერ „...თორელ-ახალციხელთა და შემდეგ ჯაყელთა სამკვიდრო და სახელოს ცენტრი გახდა“[10]. ახალციხელები თორელთა საგვარეულო განშტოებას წარმოადგენდნენ. მათგან საისტორიო წყაროებში პირველად მოიხსენებიან სახელგანთქმული მებრძოლები, ძმები შალვა და ივანე ახალციხელები[11].



2. ახალციხის ძველი და ახალი ნაწილი მდინარე ფოცხოვის ნაპირებზე. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
The old and new parts of Akhaltsikhe on both banks of the river Photskhovi. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

XIII ს-ის მეორე ნახევრიდან სამცხეს ჯაყელთა საგვარეულო განაგებდა. 1266 წელს სარგის I ჯაყელმა, დავით VII ულუსთან (1247-1270) უთანხმოების საპასუხოდ, სამცხე პირდაპირ დაუქვემდებარა მონღოლთა ყაენს: მან „ყაანს თავისი მფარველობის ქვეშ მიღება და ყმობა სთხოვა მთელი თავისი სამფლობელოთურთ, გადასდგა ნაბიჯი, რომელიც საქართველოს მთლიანობისა და ძლიერებისათვის საბედისწერო შეიქმნა“[12]. XIV ს-ის დასაწყისში გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346) შეძლო ზემო ქართლის


[10] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), ახალციხე, 2011, გვ.448.

[11] შალვა ახალციხელს ეძღვნება მემატიანის შემდეგი სიტყვები: „ ... არა ყოფილა კაცთა შორის მისებრ ჭაბუკი და მეომარი“ (ქართლის ცხოვრება, ტ.1, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 370). ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ შალვა ახალციხელი წმინდანადაა შერაცხული.

[12] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III,თბ., 1982, გვ.99

უსისხლოდ შემოერთება. მან სარგის II ჯაყელს (1306-1334) ათაბაგობა და ამირსპასალობა უბოძა[13]. მიუხედავად ამისა, ჯაყელთა მხრიდან არც შემდეგ პერიოდებში შეწყვეტილა პოლიტიკური და საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობები. ამგვარი ქმედების შედეგად, სამცხე-საათაბაგო თანდათან დამოუკიდებელ სამთავროდ იქცა. როგორც ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) აღნიშნავს, „აქაურმა პატრონ-ბატონმა ათაბაგობის წოდება დაიჩემა, „სამცხის“ სახელს საათაბაგოც მიუმატეს და ამგვარად გაჩნდა ორპირი სახელი“[14].

XV- XVI სს-ში საქართველო მეზობელი სახელმწიფოების ინტერესის სფეროში მოექცა, ხოლო ახალციხე ირან-ოსმალეთს შორის მიმდინარე ბრძოლების ასპარეზად გადაიქცა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას და უშუალოდ ახალციხეს. ოსმალეთის იმპერიისთვის ახალციხე წარმოადგენდა პლაცდარმს, საიდანაც შეიძლებოდა პოლიტიკური გავლენის მოპოვება როგორც საქართველოზე, ასევე მთლიანად კავკასიის რეგიონზე[15].



A1. ახალციხე, ქალაქი და ციხე, ლ. სერებრიაკოვის გრავიურა, XIX ს-ის შუა წლები, საქართველოს ეროვნული არქივი.
Akhaltsikhe, the town and the castel, L. Serebryakov. Gravure of the middle XIX century. National Archives of Georgia.

[13] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 256, 25.

[14] ა. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., 1991, გვ.122.

[15] დ. კოჟორიძე, განახლებული მესხეთის ქალაქი /ახალციხის ისტორია, თბ., 1969, გვ. 65.

ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ, 1639 წელს ირანმა ცნო ოსმალეთის უფლება სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილზე[16]. 1578 წლის ომში ირანი დამარცხდა, რის შემდეგაც საფუძველი ჩაეყარა ოსმალების მიერ ჩამოყალიბებულ ახალ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს, სადაც მოგვიანებით გაერთიანდა საათაბაგოს ადრე დაპყრობილი ტერიტორიებიც. XVII-XVIII სს-ში სამცხე-საათაბაგოს მიწების დიდი ნაწილი გაერთიანდა ჩილდირის ვილაიეთში (ახალციხის საფაშო), სადაც შედიოდა საქართველოს ისტორიული მხარეები: სამცხე, ჯავახეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ტაო, აჭარის ნაწილი[17].

ოსმალებმა ახალციხის საფაშოს მართვა ისევ სამცხის ათაბაგებს (ჯაყელებს) მიანდეს. ცხადია, ჯაყელები იმ პირობით დაინიშნენ მესხეთის მმართველად, რომ ისლამს მიიღებდნენ და ოსმალეთის სახელმწიფოს სახელით წარმართავდნენ რეგიონს. საინტერესოდ ხსნის ამ ისტორიულ პროცესს ბატონიშვილი ვახუშტი: „აწ მჯდომარებს ფაშა მუნ, რომელსა უწოდებენ საქართველოსანი კუალად ათაბაგადვე, ხოლო ოსმალონი ახალციხის ფაშად… და უპყრავს ამას სრულიადი სამცხე-საათაბაგო“[18]. ამ სიტყვებით მეცინერი ბატონიშვილი განმარტავს, რომ „საქართველოსანი“ სამცხე-საათაბაგოს კვლავ ქვეყნის ნაწილად მიიჩნევენ. ერეკლე II-ის ბრძანებით შედგენილი XVIII ს-ის დოკუმენტის მიხედვით, ახალციხე ქართლის ნაწილია, „…რომელიც ახლა ხუანთქარსა ძალითა, და არიან გამაჰმადიანებულნი და ადგილ-ადგილ მცირედი ქრისტიანენიცა იპოვებიან“[19].

ახალციხის საფაშოში დაიწყო მოსახლეობის გამაჰმადიანების ნელი და შეუქცევადი პროცესი. მკვიდრი მოსახლეობის არისტოკრატიული ფენა და მოქალაქეების უმეტესობა გამაჰმადიანდა, გლეხები შედარებით დიდხანს ინარჩუნებდნენ ქრისტიანულ მრწამსს. დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა ქრისტიანული ღვთისმსახურება. ბატონიშვილი ვახუშტის სიტყვებით, „…აწ უმეტესადრე მოოჴრდებოდნენ ეკლესიანი დიდშუენიერნი და იქმნებოდნენ პირუტყუთა სადგურნი და ივლტოდიან კუალადცა რომელთა არა ინებეს მაჰმადიანობა ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს და წარაქუნდათ ხატნი და ჯუარნი და წმიდათა ნაწილნი, მოისპობოდნენ ეპისკოპოზნი, თუ სადმე იყო, და მონაზონნი და მწყემსნი“[20]. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი მღვდელმსახური არ იზღუდებოდა[21]. შესაძლოა, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მოსახლეობის ნაწილი კვლავ ქრისტიანობას ინარჩუნებდა.

---

[16] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, გვ. 215.

[17] საქართველოს ისტორიული ატლასი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2016, გვ. 46, 47,49,54, XVII- XVIII, XIX, XX.

[18] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა ..., გვ. 664, ,5.

[19] ახალციხური ქრონიკები: დღიური-მატიანე, (იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნავროზაშვილი); ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ., თბ., 2015, გვ. 349, სქ. 1.

[20] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა..., ₂ გვ. 728, 20.

[21] დ. კოჟორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 95

XVIII – XIX სს-ში კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერია რუსეთის იმპერია. 1828 წლის მწვავე შეირაღებულმა დაპირისპირებამ ახალციხის მოსახლეობის ნაწილი შეიწირა, დიდი ზიანი ქალაქს. 1829 წელს აჰმედ ბეგ ხიმშიაშვილმა შემოუტია ახალციხეს აჭარიდან[22]. როგორც თვითმხილველი გვიამბობს, „აჭარელი სელიმ ფაშის შვილი აჰმედ ბეგი მოვიდა ახალციხეზე, რომ ციხე უნდა აეღო…“[23]. აჰმედ ბეგმა ციხე ვერ ჩაიგდო ხელში, მაგრამ ბრძოლების დროს ქალაქი გაიძარცვა, დაინგრა საცხოვრებელი და სავაჭრო შენობები, მნიშნელოვანი ზიანი მიადგა ახალციხის ციხეს, ციტადელს, მოხელეთა საცხოვრებლებს და სასახლეებს[24]. მომდევნო პერიოდში ინტენსიურად წარიმართა ქალაქის აღდგენა. 1872 წელს შედგენილი ახალციხის რუკის მიხედვით, XIX ს-ის შუა წლებში მდინარე ფოცხოვის ორივე ნაპირი უკვე მჭიდროდ განაშენიანებული ჩანს.



A4. ახალციხე, ქალაქ ახალციხის და მისი მიდამოების გეგმა, 1873 წელი, საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 201, ანაწერი 1, საქმე №4086.
Akhaltsikhe. Plan of the town and the surroundings, 1873. National Archives of Georgia.

1877-1878 წწ-ში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ, „ბერლინის საზავო მოლაპარაკების საფუძველზე, რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი პროვინციების დიდი ნაწილი (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლა-არტაანი და ოლთისი) …XIX ს-ის ბოლოსთვის,

[22] ნ. ნაცვლიშვილი, ახალციხე, წიგნში: საქართველოს ქალაქების ურბანული განვითრება, 1801-1918 წლებში, დავთ ხოშტარიას საერთო რედაქციით, თბ.,2019 გვ. 236, სქ., 24.
[23] ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე..., გვ. 250.
[24] შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ.453.

ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებსა და ყარსის ოლქს შორის გადანაწილდა“[25]. სამხრეთ საქართველოს მკვიდრი მაჰმადიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ოსმალეთში გადასახლდა[26]. ქვეყანაში დარჩენილი ქართველი მაჰმადიანები აღირიცხნენ თურქებად. იმის შიშით, რომ ისინი არ დაბრუნებოდნენ ქრისტიანობას, 1899 წლიდან სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ რუსული და სომხური ღვთისმსახურება იქნა ნებადართული [27]. 1830-იან წლებში ერზრუმის მხრიდან სამცხე-ჯავახეთში ჩამოასახლეს სომეხთა 30 000 ოჯახი, მათი ნაწილი ახალციხეში დამკვიდრდა. ახალმოსახლენი თავდაპირველად ძველ ახალციხეში ბინადრობდნენ. მოგვიანებით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გაშენდა ქალაქის ახალი უბანი, რომელსაც „პლანი“ დაერქვა[28] .

წარსულში, უძლიერესი იმპერიების უშუალო მეზობლად მდებარე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი განაპირა ისტორიულმა მხარემ, რომლის ცენტრს ახალციხე წარმოადგენდა, გარკვეულ პერიოდში დამოუკიდებლობა მოიპოვა ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლებისაგან, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში ის ოსმალეთის იმპერიის ნაწილად იქცა. XIX ს-ში ახალციხე, მთლიანად საქართველოსთან ერთად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა. თავის დროზე, ილია ჭავჭავაძემ ამგვარად განაზოგადა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მნიშვნელობა და როლი ქვეყნის ისტორიაში: „საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილ იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა მერმე ოსმალოს ზემოქმედების ქვეშ, ზემო ქართლი, რომელსაც ეხლა ოსმალოს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვით-არსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა“ [29].

* * *

ახალციხის ხანგრძლივი ისტორიის ყველა ეტაპის თანმიმდევრული წარმოდგენა არ ხერხდება, თუმცა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქალაქო ცხოვრება აქ არ შეწყვეტილა. საისტორიო წყაროები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის გვიანი შუა საუკუნეების პერიოდის ახალციხეზე. XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების მიხედვით, ახალციხე „…ციცაბო გორაკზე ქვის მტკიცედ ნაგები მომხიბლველი ციხე-ქალაქია,“ ქალაქის იმდროინდელ ბინადართა შესახებ კი აღნიშნავს, რომ „…ხალხი

[25] საქართველოს ისტორიული ატლასი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, გვ. XXIII.

[26] დ. ბერძენიშვილი, ახალქალაქი ჯავახეთისაჲ, არტანუჯი, ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, №7, 1998, გვ.24.

[27] იქვე, გვ.24.

[28] შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ., გვ.454; ნ. ნაცვლიშვილი, ახალციხე, წიგნში: საქართველოს ქალაქების ..., გვ. 237-261.

[29] ი. ჭავჭავაძე, ოსმალოს საქართველო, ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 10.

ჯანიანი, მამაცი და სახელოვანია“[30]. მოგზაური მეცნიერი განსაკუთრებით ამკობს ახალციხის იმდროინდელ მმართველს საფარ -ფაშა ჯაყელს, რომელსაც იგი გულად, უნარიან და მოასპარეზე ადამიანად წარმოგვიდგენს.

ბატონიშვილი ვახუშტის მიხედვით, „აქა არს ახალციხე ქალაქი, ფერსათის მთის კერძოდ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს (ამას ვგონებ ლომსიად, ვინაჲთგან, ისახელების რა ახალციხე ცხორებასა შინა, არღარა მოიჴსენიების მერმე ლომსია)“[31].

ახალციხე არაერთგზის იქნა დანგრეული და თავიდან განახლებული, თუმცა მას დღემდე აქვს შემორჩენილი მხოლოდ ამ ქალაქისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტი და განუმეორებელი სახე. ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე წამომართული ზღუდეშემოვლებული ციხე გვირგვინივით ადგას ქალაქს. ფეოდალური ხანის ახალციხის გეგმარებას განაპირობებდა ორნაწილიანი ციხე და შემოუზღუდავი ქალაქი[32]. 1950-იან წლებში ვახტანგ ბერიძე აღნიშნავდა: „დღემდის მოღწეულ ნაგებობათა მიხედვით, ჩანს რომ თვით ახალციხეც დიდსა და მნიშვნელოვან სიმაგრეს წარმოადგენდა. ციტადელი, რომელსაც ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე, კლდოვან პლატოზე, დიდი ფართობი უჭირავს, რა თქმა უნდა, თურქ დამპყრობელთა (და, ალბათ, აგრეთვე გამაჰმადიანებული ფაშების) მშენებლობის საგრძნობ კვალს ატარებს… მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ სიმაგრის ბირთვი ძველი, ათაბაგთადროინდელი უნდა იყოს დარჩენილი. ეს ბირთვიც, უეჭველია, რამდენიმე ფენისაგან შედგება“[33].

გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც საქართველოში საქალაქო ცხოვრება დაეცა და ქუთაისიც კი უმნიშვნელო ქალაქად იქცა,[34] ახალციხემ შეინარჩუნა და განავითარა კიდეც თავისი სავაჭრო პოტენციალი. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ პროვინციების ფარგლებში „…ქალაქობა ყველაზე მეტად, როგორც ჩანს, ახალციხეს ეთქმოდა“[35]. ამ დროს ჩნდება ახალციხე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამოცემულ რუკებზე: „…1686 წელს ლონდონში, მოზეს პიტის მიერ გამოცემულ ჟან შარდენის შავი ზღვის რუკაზე; 1723 წელს, პარიზში გიომ დელილის მიერ გამოცემულ „კასპიის ზღვის მეზობელი ქვეყნების რუკასა (შედგენილია სულხან საბას მონაწილეობით) და 1766 წელს, პარიზში ჟოზეფ ნიკოლა დელილის მიერ გამოცემულ ვახუშტი ბატონიშვილისეული „საქართველოს სამეფოს“ რუკის ფრანგულ ვერსიაში“.[36] მოგზაურთა მიერ ადრეული ხანიდანვეა შემჩნეული ახალციხის მრავალეთნიკური მოსახლეობა. 1672 წელს ჟან შარდენი აღნიშნავდა, რომ ახალციხეში ცხოვრობენ თურქები, ქართველები, სომხები, ბერძნები და

[30] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. 1, თბ., 1971, გვ. 301.

[31] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა..., გვ. 663,20

[32] ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2014,, გვ. 391.


[33] ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 21.

[34] ა. თაბუაშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ., 2020, გვ.187.

[35] ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. 1, გვ.391.

[36] ბლოგების სერია მრავალფეროვანი საქართველო, ს. სალაძე, ძველი, ჭრელი ახალციხე, 2021

ებრაელები.[37] ეს მრავალფეროვნება დღემდე შემოინახა ქალაქმა, რამაც მისი უბნების ურბანული ხასიათის ჩამოყალიბებაზეც იქონია გავლენა [38] .



A2. ახალციხე, გრავიურა, XIX საუკუნის მეორე ნახევარი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
Akhaltsikhe. Gravure of the second half of the XIX century. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

შუა საუკუნეების და XIX ს-ის დღემდე შემონახული ისტორიული წყაროები, ტექსტური, ფოტო და გრაფიკული საარქივო დოკუმენტაცია ახალციხის ურბანული სტრუქტურის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესს ასახავს[39]. ქალაქში შემონახული ისლამური აბანოები ახალციხის რთული ისტორიის მრავლისმეტყველ მოწმეებს წარმოადგენს.

[37] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა , გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 272

[38] ს. სალაძე, ძველი, ჭრელი ახალციხე, 2021

[39] ნ. ნაცვლიშვილი, ახალციხე, წიგნში: საქართველოს ..., გვ. 237-261.

აბანო, პეტრე ხარისჭირაშვილის ქუჩა №6

ახალციხის ძველი უბნების პატარა ქუჩების ირეგულარული ქსელის ზოგიერთი მონაკვეთი ქალაქის ორი მოზრდილი მაგისტრალის (ალექსანდრე ყაზბეგის და ექვთიმე ათონელის) ცალ მხარეს იკავებს და მხოლოდ მოკლე მანძილზე გრძელდება მათ პარალელურად. ამის გამო ერთი ქუჩის ორ მხარეს, გარკვეულ მონაკვეთებზე, სხვადასხვა დასახელება აქვს.[40]



13. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, შენობის გუმბათი საცხოვრებელი სახლის ეზოში (ხარისჭირაშვილის ქ. №5). ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. The dome of the building is in the yard of a residential house (Kharischirashvili Street №5). Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



14. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, შენობის გუმბათი საცხოვრებელი სახლის ეზოში (ხარისჭირაშვილის ქ. №5). ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო
Bath on Kharischirashvili Street. The dome of the building is in the yard of a residential house (Kharischirashvili Street №5). Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

[40] მაგალითად, ხარისჭირაშვილის ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩაა, ხოლო ექვთიმე ათონელის ქუჩის მოპირდაპირე მხარეს — ციხისძირის ქუჩა.




9. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. South-east view. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



10. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, სამხრეთი ფასადი., მანანა სურამელაშვილის ფოტო (2013 წ.).
Bath on Kharischirashvili Street. South facade. Photo by Manana Suramelashvili (2013).


თუ კარგად დავაკვირდებით, ამ ქუჩებით მონიშნული ადგილები ქალაქის ძველ ურბანულ ქსელზე მიანიშნებს. სწორედ აქ არის შემონახული გვიანი შუა საუკუნეების ორი ისლამური აბანო. ქალაქის ახლანდელი ადმინისტარციული დანაწილებით, ერთ-ერთი მათგანის ოფიციალური მისამართია პეტრე ხარისჭირაშვილის ქ. №6. ყაზბეგის ქუჩიდან აბანოს შენობა არ მოჩანს, რადგან სანახევროდ მიწაში ჩადგმული ნაგებობის მხოლოდ გუმბათებია ხილული და ისიც საცხოვრებელი სახლის (ხარისჭირაშვილის ქ. №5) ეზოში ექცევა. აბანოს შენობის ორი ფასადის (აღმოსავლეთი და სამხრეთი) ნახვა ხარისჭირაშვილის ქუჩის ქვედა დონიდანაა შესაძლებელი. აქედან ნაგებობა ჩართულია დახრილ რელიეფზე, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით განვითარებულ სამოსახლოში, სადაც მიჯრით მიყოლებულია 1-2 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც მცირე ზომის ეზოებიც აკრავს, ზოგიერთი შენობა ტრადიციული სამშენებლო ოსტატობითაა ნაგები.



A3. ახალციხე, გრავიურა, XIX საუკუნის პირველი ნახევარი, გერმანული გამოცემა
(ილუსტრაცია ქვეყნდება მფლობელის თანხმობით).
Akhaltsikhe. Gravure of the first half of the XIX century. Published in Germany.
(The image is published with the permission from the owner).

აქედან შორი ხედით ახალციხის ციხის კომპლექსიც მოჩანს, თავისი ციტადელითურთ. შესაბამისად, ციხიდანაც შესაძლებელია აღნიშნული მიკროუბნის დანახვა. ამ კუთხითაა ასახული ახალციხის ციხე და აბანო XIX ს-ის პირველი ნახევრის გრავიურაზე, სადაც ციხიდან ჩრდილო-დასავლეთით მოჩანს მეჩხერი განაშენიანება, რომლის ფონზე აშკარად გამოირჩევა გუმბათებიანი აბანოს სქემატური გამოსახულება.


სავარაუდოა, რომ გრავიურის ავტორმა ყველაზე უფრო სახასიათო შენობაზე გაამახვილა ყურადღება. დღესაც, ახალციხის ციხიდან მომზირალს არ გამოეპარება თვალთა-ხედვიდან ეს ნაგებობა.



8. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე და მის ირგვლივ არსებული განაშენიანება.
ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. South-east view. Photo by Tsitsino Chachkhunashvili

ამჟამად უმოქმედოდ მდგარი აბანოს შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადაა აღრიცხული, ქალაქის ბინადარნი მას „გუმბათიანი“, „დიდი აბანოს“ სახელით მოიხსენებენ. გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც XX ს-ის 30-იან წლებში მოიარა და აღწერა სამცხე-ჯავახეთის სიძველეები, შენობას „რაბათის აბანოს“ უწოდებს. მისივე სიტყვებით, „…ციხის ჩრდილო-დასავლეთით არის აბანოს 5 გუმბათი, ნაშენია ქვითკირისაგან, წინა მხარეს თლილი ქვაა. იგი დღეს კოლმეურნეობის ხელშია: შიგ ბოსელია გამართული. მთავარ გუმბათს ზედ ადგას „კოკოშაკი“ (კოკოშაკი ეწოდება დარბაზის გვირგვინის ზედა ნაწილს გარედან). აღმოსავლეთ მხარეს აბანოს აქვს კედელზე ძველი ეკლესიიდან დარჩენილი ჩუქურთმიანი ქვები. კარის თავზე ორნამენტიანი ჯვრის ნაწილი, მაღლა ორი ქვა ფანჯრის ნაპირები კუთხეში ოთხი ქვაა. ერთი მათგანი ყურძნის მტევნების გამოსახულებით. პირველ ნაწილს აქვს 7 ქვა, მეორე, სამხრეთ ნაწილსაც აქვს ორი ჩუქურთმიანი ქვა. ორივე ნაწილს სულ 9 ქვა“[41].

[41] გ. ბოჭორიძე,მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები, საძიებლები და შესავალი დაურთეს: დ. ბერძენიშვილმა, ლ. მელიქიშვილმა, ლ. ხუციშვილმა, თბ., 1992, გვ .8, 185.



A5. ახალციხე, აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე (№6), ანაზომი, აღმოსავლეთი ფასადი, არქიტექტორი მიხეილ კალაშნიკოვი, 1940-იანი წწ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
Akhaltsikhe. Bath on Kharischirashvili Street (№6). Drawing, east façade. The architect, Mikhail Kalashnikov. 1940s. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.


საისტორიო წყაროებით ზუსტად არ დგინდება თუ როდის და ვის მიერაა აგებული შენობა. ცხადია, დამკვეთი საზოგადოების რიგითი წარმომადგენელი არ უნდა ყოფილიყო. ოსმალური და ქართული წყაროების მიხედვით, XVIII ს-ის შუა ხანებში ახალციხის საფაშოს მმართველად გვევლინება „...ისაყ ფაშას შვილი ჰაჯი აჰმედ ფაშა, რომელიც სამთუღიანი ფაშა იყო და სულთნის ვეზირად ითვლებოდა, 1755 წელს იყო ვანის გუბერნატორი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალციხის საფაშოში მაჰმადიანობის გავრცელებასა და მუსლიმთა საკულტო ნაგებობების მშენებლობას. მისი განკარგულებით ააგეს ახალციხეში აჰმედის სახელობის დიდი მეჩეთი, რომელთანაც დააარსეს სასულიერო სასწავლებელი და ბიბლიოთეკა“[42]. არ არის გამორიცხული, რომ აბანოს შენობა მისი მმართველობის პერიოდში იყოს აგებული[43].

[42] ფირათ ჩაქირი, ახალციხის საფაშო 1774-1829 წლებში, ქუჩუკ-კაინარჯიდან – ადრიანოპოლის ზავამდე (ოსმალური წყაროების მიხედვით), წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმი - 2020, გვ. 27.

[43] ჰაჯი – პიროვნება, რომელმაც მუსლიმური წმინდა ადგილები, მათ შორის, მექაში მოილოცა,



5. ახალციხის ციხე, მედრესე. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Akhaltsikhe castle, madrasah. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



6. ახალციხის ციხე, მეჩეთი. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Akhaltsikhe castle, mosque. Photo by Lia Bokuchava.

არქიტექტურული თვალსაზრისით, ნაგებობა მაღალ შეფასებას იმსახურებს, სამშენებლო ოსტატობით აჰმედ ფაშის მიერ აგებულ შენობებს არ ჩამოუვარდება.

მიუხედავად იმისა, რომ გვიან შუა საუკუნეებში ახალციხე მოწყვეტილი იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან, მისი ურბანული სტრუქტურა არ განსხვავდებოდა ფეოდალური საქართველოს დანარჩენი ქალაქებისაგან. აღნიშნული პერიოდის ქალაქებს ივანე ჯავახიშვილი ორგვარი ცენტრის ერთობად განიხილავდა: 1. ადმინისტრაციული ცენტრი, სადაც განლაგებულია სასახლე და მოხელეთათვის განკუთვნილი შენობები, 2. სამოსახლო, სადაც საცხოვრებელ სახლებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბაზრები, მოედნები და სავაჭრო-სამეურნეო ნაგებობები[44], რომლებიც ხშირად ქუჩის ორივე მხარეს იყო ჩარიგებული[45]. ასეთივე სტრუქტურა გააჩნდა ახალციხეს. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ციხის შიგნით იყო მოქცეული ამ მხარის მმართველთა რეზიდენცია, აქვე იყვნენ დამკვიდრებული სახელმწიფო მოხელეები, საზოგადოების პრივილეგირებული ფენა და ციხის დამცველთა გარნიზონი.



4. ახალციხის ციხის ციტადელი და ციხის გალავანი. მანანა სურამელაშვილის ფოტო.
The citadel of the Akhaltsikhe castle and the fortress walls. Photo by Manana Suramelashvili.

[44] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ... გვ. 53.
[45] ვ. ბერიძე, XVI-XVIII სს-ის ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I ,_თბ., 1983, გვ. .39.

რიგით მოსახლეებს და ვაჭარ-ხელოსნებს ზღუდის მიღმა მდებარე ტერიტორია ეკავა[46]. ისევე, როგორც გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ზოგიერთ ქალაქში, ახალციხეშიც რამდენიმე ბაზარი არსებულა. ამასთან ერთად, ქალაქს უნდა ჰქონოდა მთავარი სავაჭრო ცენტრი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთათვის. ასეთი საქმიანი ცენტრი ახალციხეში განლაგებული ყოფილა ქალაქის გამაგრებული ნაწილის სიახლოვეს, მის კარიბჭესთან. მტრის თავდასხმის შემთხვევაში შესაძლებელი იყო თავის შეფარება ციხის შიდა ტერიტორიაზე. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თვითმხილველების მიერ აღწერილი, ახალციხის 1829 წლის დარბევის ქრონიკა, რომლის დროსაც ქალაქი გაიძარცვა, მაგრამ მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მოახერხა თავის გადარჩენა.[47]



11. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, აღმოსავლეთი ფასადი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. East facade. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

[46] 2012 წელს უხეში მეთოდური დარღვევებით ჩატარდა ახალციხის ციხის რეკონსტრუქცია, იხ. მ. სურამელაშვილი, ისტორიული არქიტექტურის მეტამორფოზა, rcchd.icomos.org.ge, Heritage Conservation Regional Network Journal, №2, 2013.

[47]„ აჭარიდან „სელიმ ფაშის შვილი აჰმედ ბეგი მოვიდა ახალციხეზე ... დაბინდებისას ციხეში აღვედით, ზოგი კიბით, ზოგი თოკით ... და იქ აღვედით 500 სულზე მეტი და იქ დავჰყავით ათორმეტი დღე“ , იხ. ახალციხური ქრონიკები : დღიური-მატიანე ...., .გვ. 250.



12. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ქალთა განყოფილება, აღმოსავლეთი ფასადი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Façade of the women's section. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

XIX ს-ის დასაწყისში ქალაქის მთავარი სავაჭრო ადგილი, ბაზარი მდებარეობდა ახალციხის ციხის ჩრდილო-დასავლეთით, რომელიც ამჟამინდელ ხარისჭირაშვილის ქუჩაზე მდებარე აბანოსაც მოიცავდა. აქვე ყოფილა ციხისგარეთა მეჩეთი, ქარვასლა, გადახურული ბაზარი (ბაზასტანი), დუქნები, ბეწვეულის მკერავთა (ქურქჩების) სახელოსნო[48]. ზემოთაღნიშნული ნაგებობებიდან დღემდე ხარისჭირაშვილის ქუჩაზე მდებარე აბანოს შენობა შემორჩა,[49] რომელიც სოფ. ელიაწმინდიდან და ენთელიდან თიხის მილების გამოყვანილი 14 კმ. სიგრძის მქონე წყალსადენით მარაგდებოდა[50]. აბანოთი სარგებლობა შეეძლო საზოგადოების შეძლებულ ფენას და რიგით მოქალაქეებს. პირველ რიგში აქ უნდა ვიგულისხმოთ ციხის შიდა ტერიტორიაზე მოსახლე, ახალციხის ფაშასთან დაახლოებული მოხელეები და მდიდარი ვაჭრები. ბატონიშვილი ვახუშტის მიხედვით — „წარმოჩინებულნი და ჩენილნი მოჰმადიანნი, და ვაჭარნიცა“[51]. აბანოს ცალ-ცალკე სივრცეები გააჩნდა ქალებისა და მამაკაცებისთვის, თავისივე დამოუკიდებელი შესასვლელებით.

შენობის გეგმა სწორკუთხედს უახლოვდება (28x27,7მ.), რომლის აღმოსავლეთი ფასადის ხაზი არაწესიერ მრავალკუთხედს მოხაზავს. ქალთა განყოფილებაში სათავსები ძირითადად ერთ ხაზზე, მწკრივადაა დალაგებული, ხოლო მამაკაცთა განყოფილებაში უპირატესობა ენიჭება ცენტრულ, ჯვრულ კომპოზიციას, ცალკეული განყოფილებებით ჯვრის უბეებში. გეგმის ასეთი ორგვარი სტრუქტურული სქემის თანაარსებობა დამახასიათებელია ისლამური აბანოებისთვის[52].

---


[48] იქვე, გვ. 250.

[49] ნ. ნაცვლიშვილი, ახალციხე. წიგნში: საქართველოს ..., გვ. 235-236, სქ., 23, 24; გვ.246, სქ. 70.

[50] დ. კოჟორიძე, დასახ., ნაშრ., გვ. 98-99.


[51] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა ..., გვ. 663,20

[52] Magda Sibley and lein Jackson, The architecture of Islamic public baths of North Africa and the Middle East: an analysis of their internal spatial configurations, Article in Architectural Research Quarterly, publihed - June 2012, გვ.13.




A8. ახალციხე, აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე (№6), გეგმა, არქიტექტორი მიხეილ კალაშნიკოვი, 1940-იანი წწ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
Akhaltsikhe. Bath on Kharischirashvili Street (№6). Drawing, building plan. The architect, Mikhail Kalashnikov. 1940s. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

ახალციხის დიდი აბანოს ცალკეული სათავსები გუმბათებით და ცილინდრული კამარებითაა გადახურული.



A6. ახალციხე, აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე (№6), ანაზომი, ჭრილი, არქიტექტორი მიხეილ კალაშნიკოვი, 1940-იანი წწ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
Akhaltsikhe. Bath on Kharischirashvili Street (№6). Drawing, building section. The architect, Mikhail Kalashnikov. 1940s. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.



A7. ახალციხე, აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე (№6), ანაზომი, ჭრილი, არქიტექტორი მიხეილ კალაშნიკოვი, 1940-იანი წწ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
Akhaltsikhe. Bath on Kharischirashvili Street (№6). Drawing, building section. The architect, Mikhail Kalashnikov. 1940s. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

ნაგებობის ჩრდილოეთი და დასავლეთი ფასადის დიდი ნაწილი (გარდა გუმბათებისა), მიწის ქვეშაა მოქცეული. აღმოსავლეთი მხრიდან მოთავსებული ორი შესასვლელიდან სამხრეთი მათგანით ქალთა განყოფილებაში შეიძლება შესვლა, სადაც აღმოსავლეთიდან დასავლეთი მიმართულებით მწკრივად დალაგებული სათავსებიდან პირველად მისაღებ დარბაზში (ვესტიბულში), შეიძლება შესვლა, რომელიც გასახდელს და მასთან დაკავშირებულ საპირფარეშოს უკავშირდება. ქალთა განყოფილების სათავსების რიგი სრულდება შენობის ყველაზე დიდი სააბაზანო დარბაზით (9,3 x 9,3; გუმბათის შიდა სიმაღლე — 10 მ.)[53].

მამაკაცთა მისაღები (7,8 x 7,8 მ., გუმბათის შიდა სიმაღლე — 9,5 მ.) გასახდელი და საბანაო სივრცეებიც იმავე რიგითაა დალაგებული. მისაღები დარბაზის გუმბათში გაჭრილ ექვსწახნაგა სარკმლის ასწვრივ აღმართულია სფერული გუმბათით დასრულებული მოცულობა, რომელიც ექვსწახნაგა გუმბათის ყელს ეფუძნება, სადაც თითო წახნაგზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. საყურადღებოა კაცების სააბაზანოს კვადრატში ჩასმული ჯვრული მოხაზულობის გეგმა, რომლის კუთხეებში ცალკე საბანაო სივრცეებია გამოყოფილი.

[53] ტექსტში მითითებული ზომები აღებულია ძეგლის პასპორტიდან, რომელიც დაცულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს არქივში, ავტორი: გ. ბაგრატიონი, თბ., 2013 წ.



17. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, ქალთა განყოფილების ვესტიბულის გუმბათი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior, the dome of the women's section's hall. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



15. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, ქალთა განყოფილების სააბაზანო. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior of the women's section bath. Photo by Lia Bokuchava.



16. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, ქალთა განყოფილების სააბაზანო, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior of the women's section bath. Photo by Lia Bokuchava.



18. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, კაცების განყოფილების გასახდელი, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior, the locker room of the men's section. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.




19. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, კაცების განყოფილების გასახდელი, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior, the locker room of the men's section. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



20. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, კაცების განყოფილების ვესტიბული. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior, the hall of the men's section. Photo by Lia Bokuchava.



25. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, კაცების სააბაზანო განყოფილება.
ლია ბოკუჩავას ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior. The bathroom of the men's section. Photo by Lia Bokuchava.



26. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, კაცების სააბაზანო განყოფილება.
ლია ბოკუჩავას ფოტო.

Bath on Kharischirashvili Street. Interior. The bathroom of the men's section. Photo by Lia Bokuchava.



27. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, კაცების განყოფილების სააბაზანო, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.

Bath on Kharischirashvili Street. Interior. The bathroom of the men's section. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

მსგავსი გეგმის მქონე აბანოები პოპულარულია ისლამურ სამყაროში. როგორც ლევან ჭილაშვილი აღნიშნავს, „ეს არის აბანოების ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელიც დამახასიათებელია XIV-XIX საუკუნეებისათვის როგორც ამიერკავკასიაში, ისე ირანში“[54]. ახალციხეში არსებული იდენტური გეგმარებითი კომპოზიცია აშკარად მეტყველებს მის ფართო გავრცელებაზე როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში. აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, ახალციხის აბანოში არ ჩანს აუზები, სადაც ადამიანს მთელი ტანით შეეძლო დაფარვა. თურქულ აბანოებში საბანაო ადგილებში შემაღლებული ადგილები იყო გამოყოფილი.[55]

ახალციხის დიდი აბანოსთვის სამშენებლო მასალად გამოყენებულია აგური (21x21x3,5; 21x21x4 სმ.), უხეშად დამუშავებული ქვა და თლილი კვადრები. შიგნიდან აგურით ამოყვანილი გუმბათები გარედან უხეშად დამუშავებული ქვითაა დაფარული. ამგვარი ორგარსიანი გუმბათების გარე პირის მოპირკეთების დიდი ნაწილი ახლა ჩამოცვენილია. სათავსების გუმბათქვეშა კვადრატიდან წრეზე გადასვლა ხორციელდება კედლის კუთხეებში განთავსებული ტრომპების, თლილი ქვით ნაგები შეისრული, ზოგან

[54] ლ. ჭილაშვილი, კახეთის ქალაქები (XIV- XVI სს.), თბ., 1980. გვ. 59, 63.

[55] Ahmet Igdirligil, Middle East Bathing Culture: a Historic Approach, Turkey, Middle East Bathing Culture: a Historic Approach, Hamam: Hidden Door Livig Treasure, Editor: Heidi Dumbreicher, Vienna, 2010, გვ. 21

— ნახევარწრიული თაღებისა და მათ შორის ამოყვანილი აფრების სისტემით. ბაზალტის ქვით გადაყვანილი თაღები ლილვის მოყვანილობის და ზოგან — სტალაქტიტისებური დეკორით შემკულ კონსოლებს ეყრდნობა.



21. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, კაცების განყოფილება, კონსოლის გაფორმება.
მანანა სურამელაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior, men's section. Decoration of the console. Photo by Manana Suramelashvili.



24. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, კაცების განყოფილება, ვესტიბული, დეკორაციული დეტალი, ფოტო, მანანა სურამელაშვილი

Bath on Kharischirashvili Street. Interior of the men's section. Details of decoration of the hall. Photo by Manana Suramelashvili.

ამჟამად აბანოს ინტერიერის უმეტეს ნაწილში იატაკის ქვის ფილები აღარ არსებობს და შიდა სივრცე იატაკქვეშა სისტემის ჩათვლითაა გახსნილი, სადაც რიგებად დალაგებული ქვისაგან გამოთლილი კალორიფერები გუმბათიანი სივრცის შთამბეჭდავ, განუყოფელ ნაწილადაა ქცეული, რაც გუმბათებში გაჭრილი ექვსწახნაგა თუ წრიული, ნაწილობრივ ნაპირებმორღვეული სარკმლებიდან ჩამომავალ განათებასთან ერთად, უჩვეულო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. გარედან შემსვლელისთვის ინტერიერში მოხვედრისთანავე საგრძნობია მკვეთრი განსხვავება შენობის გარე მასებსა და ინტერიერს შორის, ეს სხვა სამყაროში მოხვედრის ტოლფასია.

აბანოების ფასადებსა და ინტერიერს შორის კიდევ უფრო დიდი დაპირისპირებაა არაბულ ქვეყნებში, სადაც ხშირად ძველი აბანო იმდენადაა ჩამალული მჭიდრო განაშენიანებაში, რომ ზოგჯერ მისი შესასვლელის შემჩნევაც ჭირს[56].

ახალციხის დიდი აბანოს სივრცეებში მიმოფანტულია ერთიანი ქვისაგან გამოთლილი, პირვანდელი მდებარეობიდან გადაადგილებული წყლის რეზერვუარები, რომლებშიც ზავდებოდა ცივი და ცხელი წყალი (ერთ-ერთი მათგანი სრულადაა შემონახული მამაკაცთა განყოფილების სააბაზანოში). მათი წახნაგები ზედაპირიდან ჩაღმავებით შესრულებული ორნამენტითაა შემკული.




30. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, ქვის რეზერვუარი, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior. Stone basin. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

[56] Richard S. Levine U.S.A. The Hamam is not a Building, Hamam: Hidden Door Livig Treasure, Editor: Heidi Dumbreicher, Vienna, 2010, გვ. 31.



31. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, ქვის რეზერვუარი. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior. Stone basin. Photo by Lia Bokuchava.

კედლის მონაკვეთებზე ადგილ-ადგილ შემორჩენილი ფერადოვანი ფრაგმენტები მხოლოდ მიახლოებით გვიქმნის წარმოდგენას აბანოს შიდა მორთულობაზე. საღებავის დასადებად სხვადასხვა ხერხია გამოყენებული. თლილი ქვის შემთხვევაში, ის პირდაპირ ქვაზეა დატანილი, ხოლო აგურისა და უხეშად გათლილი ქვის წყობისთვის ბათქაშია გამოყენებული. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, შეიძლება ცალკეულ გამოსახულებებზე გავამახვილოთ ყურადღება. მაგალითად, მამაკაცთა მისაღები დარბაზის გუმბათის ცენტრში გაჭრილ ექვსკუთხა მოყვანილობის სასინათლე ღიობს ლურჯად და მოყავისფროდ შეფერილი ექვსქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულება შემოუყვება; თაღების სტალაქტიტებიანი სიბრტყე შავი კონტურით შემოვლებული შინდისფერი და ლურჯი ფერებითაა გაცხოველებული; სხვადასხვა ადგილზე გამოყენებულია მოწითალო - აგურისფერი და ყვითელი შეფერილობა; მამაკაცთა განყოფილების მისაღები სივრციდან გასახდელში გასასვლელის ზევით წრიული მოხაზულობის გამოსახულების ფრაგმენტია წარმოდგენილი. ინტერიერის გასაფორმებლად მუქი და ღია ფერის თლილი ქვებია დალაგებული, როგორც ეს ქალთა სააბაზანაო განყოფილების ნახევარწრიული თაღების შემთხვევაშია განხორციელებული. აგურის, როგორც სამშენებლო მასალის, შესაძლებლობა, გამოყენებულია დეკორატიული მორთულობისათვის. მაგ., კუთხით დალაგებული აგურებით გამოყვანილი მოხაზული არქიტექტურული ფორმები და დეტალები.



23. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, კაცების განყოფილება, ვესტიბულის გუმბათის მორთულობის ფრაგმენტები. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior of the men's section. Decoration fragments of the hall's dome. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



28. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, იატაკის ფრაგმენტი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.

Bath on Kharischirashvili Street. Interior. The fragment of the floor. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



29. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, იატაკქვეშა გათბობის თიხის მილები. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. Interior. The clay tubes of the underfloor heating. Photo by Lia Bokuchava.

შენობაში შემორჩენილია კერამიკული წყალსადენის ფრაგმენტები, რომლიც ორ ფენად დალაგებული გათლილი ქვის ფილების ქვევით იყო გაყვანილი. გამდინარე წყალი იატაკის ქვაფენილზე მოწყობილი ღარების მეშვეობით მოძრაობდა. მისი ფრაგმენტები შემორჩენილია ინტერიერში. წყლის გამაცხელებელი საცეცხლე განყოფილება, საქვაბე და რეზერვუარი ხარისჭირაშვილის ქ. №5 საცხოვრებელი სახლის ეზოს დონის ქვეშ ექცევა და ამჟამად მიუწვდომელია[57] .

აბანოს შენობის აღმოსავლეთი ფასადი განსაკუთრებითაა გაფორმებული, რისთვისაც, გამოყენებულია ამ მიდამოებში ადრე არსებული ეკლესიებიდან ჩამოხსნილი თლილი კვადრები, სარკმლის მოჩუქურთმებული ფრაგმენტები, რომელთა თარიღი XIII-XIV საუკუნეებზე გვიანდელი არ უნდა იყოს. 1941 წლის ანაზომებთან შედარებით, ორნამენტული ქვების ნაწილი ამჟამად დაკარგულია. თუმცა 2013 წლის შემდეგი პერიოდის მანძილზე ამ მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა[58]. ნაგებობის სამხრეთი ფასადი ქუჩის ხაზს

[57] ეს იმაზეც უნდა მიუთითებდეს, რომ ხარისჭირაშვილის ქუჩის ზედა დონეზე, ყაზბეგის ქუჩის მეორე მხარეს არსებული საცხოვრებელი სახლები (ხარისჭერაშვილის №№2,3,5) XX საუკუნის შუა წლებზე ადრეული არ უნდა იყოს. ძველი ურბანული ქსელი ამ ქუჩის ქვედა დონეზე ვრცელდებოდა.

[58] „XX ს-ის 40-იანი წლების შემდგომ ამ ქვების ნაწილი დაიკარგა. მათ რაობაზე მსჯელობა ძველი ანაზომის მიხედვითღაა შესაძლებელი. კერძოდ, აღარ ჩანს მამაკაცთა შესასვლელის თავზე გადებული არქიტრავის ქვა, რომელზეც წნული, გრეხილი, ორღარიანი ლენტით, თანაბარმკლავიანი ჯვარი იყო გამოსახული. ასევე დაკარგულია მამაკაცთა შესასვლელი საფასადო სიბრტყის მარცხენა კუთხის რელიეფური ქვები, რომლებზეც წნული ორნამნტი და ვაზის რელიეფური გამოსახულებები იყო. აღარ არის ამ შესასვლელის

აყალიბებს და მის ძველ მოხაზულობაზე მიანიშნებს. ქუჩის ამ მხარეს მას უშუალოდ მოსდევს ორსართულიანი შენობა, სადაც ამჟამად სასტუმროა განთავსებული და რომელიც სამხრეთიდან კრავს ზემოთაღნიშნულ ეზოს, სადაც აბანოს გუმბათების ნაწილი ამოდის, ხოლო მიწის დონის ქვეშ საქვაბე ექცევა.




32. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, აღმოსავლეთი ფასადის გაფორმების ფრაგმენტი. მანანა სურამელაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. East facade. A fragment of decoration. Photo by Manana Suramelashvili.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აბანოს შენობის ზედხედი, ანუ მისი მეხუთე ფასადი, რომლის დიდი და მცირე გუმბათები ციტადლიდანაც კარგად მოჩანს და გამოირჩევა ირგვლივ არსებული განაშენიანებისაგან. ახალციხისაგან განსხვავებით, არაბულ ქალაქებში მეჩეთები და სხვა საზოგადოებრივი შენობებია დომინანტური[59]. ახალციხის აბანოები იმ მხრივაცაა მნიშვნელოვნი, რომ ოსმალური იმპერიის დაკნინებასთან ერთად, ამ ტიპის ნაგებობების მშენებლობა მკვეთრად მცირდება [60].

წირთხლების ქვედა ნაწილის ქვებიც. დაკარგულია ქალთა შესასვლელის საფასადო სიბრტყის მარცხნივ მაღლა, ვიწრო თაღოვანი სარკმლის ზედა ქვის ორნამენტული მოჩარჩოებაც. შემორჩენილი ორნამენტული ქვებიდან აღსანიშნავია ქალთა შესასვლელის ზევით ჩადგმული კარიბჭის გუმბათის კლიტის ორნამენტული ქვა, შვერილი, ღარიანი ნახევარსფეროთი ცენტრში. მამაკაცთა შესასვლელ საფასადო სიბრტყეზე შემორჩენილია სარკმელთა მოჩარჩოების ქვები და 12 სხივიანი სტილიზირებული რელიეფური დისკო.“ იხ. გ. ბაგრატიონი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, უძრავი ძეგლის პასპორტი, ახალციხის ძველი აბანო, თბ., 2013, გვ.3.

[59] Richard S. Levine, U.S.A., Hamam: Hidden Door … გვ. 31.

[60] Ahmet Igdirligil, Turkey, Middle East Bathing Culture: a Historic Approach, Hamam: Hidden Door Livig Treasure, Editor: Heidi Dumbreicher, Vienna, 2010, გვ 23.



33. აბანო ხარისჭირაშვილის ქუჩაზე, აღმოსავლეთი ფასადის გაფორმების ფრაგმენტი. მანანა სურამელაშვილის ფოტო.
Bath on Kharischirashvili Street. East facade. A fragment of decoration. Photo by Manana Suramelashvili.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის ციხე-ციტადელის გარეთ, მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე XVII-XVIII სს-ის გუმბათიანი აბანოს შენობა შუა საუკუნეების პერიოდის ახალციხის ფუნქციური და ქალაქგეგმარებითი დომინანტის, მისი მთავარი სავაჭრო ცენტრის ერთადერთი, თითქმის სრული სიმაღლით შემორჩენილი, მაგრამ ამჟამად ძლიერ შელახული ნაგებობაა, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი მხარის რთულ ისტორიაზე, მის კულტურულ კავშირებზე იმდროინდელ აღმოსავლურ სამყაროსთან, სამშენებლო ხელოვნებასა და რეგიონის მთავარი ქალაქის, მრავალეთნიკური ახალციხის ბინადართა ცხოვრებაზე.

ახალციხის დიდი აბანოს შენობა საქართველოში არსებული ისლამური არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. უყურადღებობისა და წლების მანძილზე არაადეკვატური მოვლა-პატრონობის გამო ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა ამჟამად ძალზე მძიმეა. შენობის გრაფიკული ფიქსაცია პირველად 1941-იანი წელს ჩატარდა,[61] 1990 წელს დამუშავდა (მაგრამ არ განხორციელდა), აბანოს შენობის კულტურის ცენტრად ადაპტაციის პროექტი (მთავარი არქიტექტორი დ. მჭედლიძე); ხოლო 2013 წელს — ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი (ხელმძღვანელები: თ. ნემსაძე, რ. გურამიშვილი) რომელიც არ განხორციელებულა.

[61] „საქართველოს სსრ-ს არქიტექტურული სამმართველოს მიერ 1941 წელს ანაზომები შეასრულეს ე. გალუმოვმა, ე. სოლონჩენკომ და მ. კალაშნიკოვმა. 1949 წელს ანაზომები შეასრულეს კალაშნიკოვმა (გეგმა, ფასადები, ჭრილები) - სულ 8 ნახაზი; 1990 წელს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში შესრულდა ძეგლის ადაპტაციის პროექტი. მთავარი არქიტექტორი დ. მჭედლიძე; არქიტექტორები: ს ნაგლაძე , ლ. თუმანიშვილი, მ. ბუხაიძე,. შესრულდა 30 ნახაზი (გეგმები, ფასადები, ჭრილები, დეტალები“ . იხ. გ. ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 8

აბანო ციხისძირის ქუჩაზე (№ 6)

ახალციხის ციხის აღმოსავლეთ მხარეს, ციხის ძირში მდებარე ძველი აბანო ახლა ორი შენობის (ციხისძირის ქ, №№ 5, 6) პირველი სართულისა და სარდაფების ფარგლებში ექცევა. ქუჩის მეორე მხარეს არსებული შენობები ექვთიმე ათონელის ქუჩას ეკუთვნის. როგორც აღვნიშნეთ, ახალციხეში ერთი ქუჩის ორი მხარის განსხვავებული დასახელება ამ ადგილზე შემონახული ურბანული ქსელის სიძველეზე მიუთითებს, რაც საარქივო მასალითაც დასტურდება.



1. საცხოვრებელი სახლები ციხისძირის ქუჩაზე (№№ 5, 6.), რომელთა სარდაფებში განლაგებულია ძველი აბანო. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Residential houses on Tsikhisdziri Street (№№ 5, 6) in the cellars of which the old bath is located. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.




2. ციხისძირის ქუჩის განაშენიანება. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო .
Building of Tsikhisdziri Street. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.




6. ციხისძირის ქუჩა №6, სასტუმრო (Old Rabat). ლია ბოკუჩავას ფოტო.
Tsikhisdziri Street №6. Hotel (Old Rabat). Photo by Lia Bokuchava.



3. ყაზბეგის ქუჩის განაშენიანება. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Building of Kazbegi Street. Photo by Lia Bokuchava.




A9. ახალციხის ციხე და ქალაქის მარცხენა სანაპიროს განაშენიანება, XIX ს-ის შუა წლების ფოტო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
The castle of Akhaltsikhe and the left embankment of the town. The photograph of the middle XIX century. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.



A10. ახალციხე, საერთო ხედი, XIX ს-ის შუა წლები, საქართველოს ეროვნული არქივი.
Akhaltsikhe. General view, middle of XIX century. National Archives of Georgia.

XIX-XX სს-ის მიჯნის ფოტოების მიხედვით, ამჟამინდელი ციხისძირის ქუჩაზე მდგარი სახლების (№№ 5, 6) ადგილზე იდგა დახრილ რელიეფზე განლაგებული გალავანშემორტყმული აბანოს კომპლექსი, რომლის ზევით, მთის ფერდზე, ტერასულად დალაგებული ბანიანი საცხოვრებელი სახლები იყო შეფენილი. ფოტოსურათებზე აღბეჭდილი აბანოს მთავარი გუმბათი იმდენად დიდი ზომისაა, რომ მდინარე ფოცხოვის მეორე (მარჯვენა) სანაპიროდანაც კარგად იკითხება.

აბანოს შენობა XX ს-ის 30-იან წლებშიაც ხილული ყოფილა. გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც ამ პერიოდში მოიარა და აღწერა სამცხე-ჯავახეთის სიძველეები, თავის ნაშრომში მოიხსენიებს „ციხის ძირას აბანოს“, რომელიც მდებარეობდა უბან დარამაჰლაში (ახალციხის დარამალაში), ღელის პირას, ებრაელების უბანში.[62] როგორც ირკვევა, გარდა აბანოს შენობისა მასთან ახლოს მომდინარე ღელეც მიეფარა თვალს. ამჟამად ის მიწისქვეშაა მოქცეული და მისი ყოფილი კალაპოტის გასწვრივ საცხოვრებელი სახლების რიგია.



7. ციხისძირის ქუჩა # 6 გადაკეთებამდე (ფოტო ინახება შენობის მეპატრონესთან)
Tsikhisdziri Street #6 before the reconstruction. Photo, property of the homeowner.

[62] გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 166, 188; საინტერესოა, რომ დარამაჰლა ეწოდება უდიების დასახლებას, რომელიც მდებარეობს აზერბაიჯანში, დაბა ნიჯში (ქაბალის რ-ნი), https://enacademic.com/dic.nsf/enwiki/11817379/

ძველი აბანოს შენობის უმეტესი ნაწილი ციხისძირის ქ. №6 მდებარე სასტუმროს (Old Rabat) ქვედა ნაწილში ვრცელდება. ეს შენობა უახლოეს ხანაშია განახლებული.[63] გადაკეთებამდე ის რიგით, XX საუკუნის შუა ხანების საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა. ამჟამად მისი ეზო დაბალი ქვის ზღუდითაა შემოფარგლული, რომელსაც ორ ადგილზე განივად გაუყვება აგურის სამ-სამი რიგი. ზღუდე სრულდება ორსართულიანი სახლით (ციხისძირის ქ. №5), რომელიც XX ს-ის შუა წლებში უნდა იყოს აგებული. ამ შენობის ზედა ქუჩაზე გამავალი მხარე ერთსართულიანია, ხოლო შესასვლელთან, მიწის დონის ქვეშ მოქცეული აბანოს შენობის ნაწილია განთავსებული.



8. ციხისძირის ქუჩა # 6, ძველი აბანოს ვესტიბული. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street #6. The hall of the old bath. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

ციხისძირის ქ. №6 შენობის ეზო ქუჩის დონიდან დაწეულია, ხოლო აბანოს შემორჩენილი ნაწილი აქედან კიდევ უფრო დაბლა მდებარეობს. პირველი სართულზე შემსვლელი ხვდება წახნაგოვანი მოხაზულობის კედლებზე დაფუძნებული არაზუსტი წრის მოხაზულობის გეგმის მქონე დიდ სივრცეში, რომელიც აბანოს მისაღებს (ვესტიბულს) წარმოადგენდა. აქედან კიბის რამდენიმე საფეხურით უნდა დავეშვათ, რომ აბანოს ლაბირინთებში გავიკვლიოთ გზა. ვესტიბულის იატაკი ეყრდნობა მის ქვევით არსებულ, ხის მორებზე დაყრდნობილ ხისავე კოჭებს. შენობის განყოფილებებში საგრძნობლად ამაღლებულია იატაკის დონე. სავარაუდოდ, მათ თავდაპირველი სიმაღლის დაახლოებით 1/3 უნდა აკლდეს, რომლის ქვეშ წყლის გასათბობი სისტემაც. უნდა ვიგულისხმოთ.

[63] სასტუმროს მფლობელის, ციალა შავაძის მიერ წარმოდგენილი ფოტოს მიხედვით, ადრე აქ XX ს-ის შუა წლების საცხოვრებელი სახლი იდგა.



21. ციხისძირის ქუჩა, № 6, იატაკქვეშა სივრცე, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.


Tsikhisdziri Street №6. The underfloor space. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



9. ციხისძირის ქუჩა №6, ძველი აბანო, ინტერიერი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street №6. The old bath. Interior. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.




12. ციხისძირის ქუჩა, № 6, ძველი აბანო, ინტერიერი, გუმბათიანი სათავსი, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street №6. The old bath. Interior. Facility with a dome. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



N1. ახალციხე, აბანო ციხისძირის ქუჩაზე, გეგმა და გრძივი ჭრილი. ჩაიხატეს ნინო კორძახიამ და ლია ბოკუჩავამ; აზომეს ნინო კორძახიამ, ლია ბოკუჩავამ და მათე სულხანიშვილმა; შეასრულა ნინო კორძახიამ.

Akhaltsikhe. Bath on Tsikhisdziri Street. Plan and the section of the building. Sketch was made by Nino Kordzakhia and Lia Bokuchava. Measured by Nino Kordzakhia, Lia Bokuchava, and Mathe Sulkhanishvili. Drawing by Nino Kordzakhia.




N2. ახალციხე , აბანო ციხისძირის ქუჩაზე, გრძივი ჭრილი. ჩაიხატეს ნინო კორძახიამ და ლია ბოკუჩავამ; აზომეს ნინო კორძახიამ, ლია ბოკუჩავამ და მათე სულხანიშვილმა; შეასრულა ნინო კორძახიამ. Akhaltsikhe. Bath on Tsikhisdziri Street. The section of the building. Sketch was made by Nino Kordzakhia and Lia Bokuchava. Measured by Nino Kordzakhia, Lia Bokuchava, and Mathe Sulkhanishvili. Drawing by Nino Kordzakhia.

შენობის გეგმარებით სტრუქტურაში არ ჩანს ჯვრული მოხაზულობის ცენტრული კომპოზიცია. ნაგებობის მწკრივად დალაგებული სათავსები სათავეს ვესტიბულიდან იღებს.[64] ცალკეული განყოფილებების დამაკავშირებელი ღიობები განგრეულია, ამიტომ რთულდება აბანოს ცალკეული განყოფილების დანიშნულების გამოცნობა. ჩვეულებრისამებრ, ამ ტიპის აბანოს სათავსები შემდეგი სახით ნაწილდებოდა: ვესტიბული, გასახდელი, რომელთანაც საპირფარეშოა დაკავშირებული და საბანაო სივრცე. შესაძლოა, ახალციხის ციხისძირის აბანოს ვესტიბულის ჩრდილოეთით მდებაბარე ცილინდრული კამარით გადახურული ტალანი გამანაწილებელ ფუნქციას ასრულებდა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა განივ და სიგრძივ ღერძზე ასხმულ, გუმბათით დასრულებულ განყოფილებებში მოხვდრა.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია აგური, უხეშად დამუშავებული, ნატეხი ქვა და მცირე რაოდენობით — ბაზალტის თლილი ქვა. განსაკუთრებულად საპასუხსაგებო ადგილები აგურის მასალაშია შესრულებული.

[64] გეგმის ამ ორგვარი სტრუქტურული სქემის ერთდროული თანაარსებობა დამახასიათებელია ისლამური აბანოებისთვის, იხ., Magda Sibley and lein Jackson, დასახ. ნაშრ., გვ.13.



N3. ახალციხე, აბანო ციხისძირის ქუჩაზე, გრძივი ჭრილი (კროკი). ჩაიხატეს ნინო კორძახიამ და ლია ბოკუჩავამ; აზომეს ნინო კორძახიამ, ლია ბოკუჩავამ და მათე სულხანიშვილმა; შეასრულა ნინო კორძახიამ.

Akhaltsikhe. Bath on Tsikhisdziri Street. The section of the building (sketch). Sketch was made by Nino Kordzakhia and Lia Bokuchava. Measured by Nino Kordzakhia, Lia Bokuchava, and Mathe Sulkhanishvili. Drawing by Nino Kordzakhia.

ვესტიბულში გასაოცარი სიზუსტითაა გამოყვანილი წყობაში ჩაძირული, გვერდულად დალაგებული აგურით გადაყვანილი გუმბთქვეშა თაღების ნახევარწრიული, წვერში ოდნავ შეტეხილი მოხაზულობა. აგურის ზომები მერყეობს 21x21x4 დან 26x26x4 სმ-ის ჩათვლით. ზომების ცვლილება არქიტექტურული დეტალების და ფორმის ზუსტად გამოყვანას ემსახურება. აღნიშნული თაღებით ხაზგასმულია ზღვარი აგურის და შენობის ქვედა კორპუსის უხეშად დამუშაებულ ქვის წყობას შორის. გუმბათქვეშა თაღების და თაღთა შორის აგურით ამოყვანილი აფრებით ხდება წრეზე გადასვლა. თაღების ასეთივე სტრუქტურას ვხედავთ სხვა განყოფილებებშიც. ვესტიბულის გუმბათის სფერო არ არის შემონახული. როგორც ჩანს, ის ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით გადაჭრეს. ყველაზე დიდი გუმბათი ვესტიბულს ჰქონდა. სწორედ ის მოჩანს მთელი სიმაღლით XIX-XX სს-ის მიუხნის ფოტოებზე.



10. ციხისძირის ქუჩა №6, ძველი აბანო, ინტერიერი, გუმბათიანი განყოფილება. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street #6. The old bath. Interior. The section with the dome. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



22. ციხისძირის ქუჩა, №6, ინტერიერი, ძველი აბანოს ვესტიბული, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street №6. Interior. The hall of the old bath. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



11. ციხისძირის ქუჩა, №6, ძველი აბანო, ინტერიერი, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street №6. The old bath. Interior. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



13. ციხისძირის ქუჩა, №6, ძველი აბანო, ინტერიერი, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street №6. The old bath. Interior. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



14. ციხისძირის ქუჩა, №6, ძველი აბანო, ინტერიერი, გუმბათიანი სათავსები. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street №6. The old bath. Interior. Facilities with domes. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



15. ციხისძირის ქუჩა, №6, ძველი აბანოს გუმბათი, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street №6. The dome of the old bath. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



23. ციხისძირის ქუჩა, # 6, ინტერიერი, მინიატურული თაღიან-გუმბათიანი მოცულობები სავენტილაციო არხებით.

Tsikhisdziri Street #6. Interior. The miniature arch-dome volumes with the vents channels. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

გარდა ვესტიბულისა, გუმბათური დასრულება ჰქონდა აბანოს კიდევ შვიდ განყოფილებას, რომელთაგან ოთხის გუმბათური გადახურვა შენარჩუნებულია, სადაც წრიული მოხაზულობის, ამჟამად დახშული, სასინათლო ღიობებია გაჭრილი. ინტერიერში ყურადღებას იქცევს აგურის მასალაში შესრულებული, მინიატურული თაღიან-გუმბათიანი მოცულობები სავენტილაციო არხებით. ინტერიერის დეკორატიული გაფორმებიდან ბევრი არაფერი გადარჩენილა. ალაგ-ალაგ შემონახულია ბათქაშის თხელ ფენაზე დატანილი ლურჯი ფერის საღებავის ფენით დაფარული ფრაგმენტები.

აბანოს წყლის რეზერვუარი (ცისტერნა) და საქვაბე ციხისძირის ქ. №5 სახლის სარდაფშია მოქცეული. როგორც აღვნიშნეთ, დახრილ რელიეფზე განთავსებული ეს შენობა ქვედა დონეზე ორსართულიანია, ხოლო ზედა მხარეს — ერთსართულიანი. საცხოვრებელი სახლის სარდაფში მოხვედრა შესაძლებელია როგორც ზედა ქუჩაზე მოწყობილი შესასვლელიდან, ასევე ქვედა მხრიდანაც, საიდანაც ჯერ საცხოვრებელ ოთახში ვხვდებით, შემდეგ — აბანოს ერთ-ერთ გუმბათიანი სათავსში და ბოლოს — ბაზალტის თლილი ქვით გადაყვანილი ცილინდრული კამარით დასრულებულ საქვაბესა და ცისტერნაში, რომლის ნამდვილი დანიშნულება და მნიშვნელობა თვით სახლის პატრონმაც არ იცოდა.[65]

[65] სახლის მეპატრონის, მურმან ოქრომელიძის გადმოცემით, შენობა დიდი ხანი არ არის შეიძინეს.



4. ციხისძირის ქუჩა №5 (ზედა დონე) ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street №5 (upper level). Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



5. ციხისძირის ქუჩა №5 (ქვედა დონე). ლია ბოკუჩავას ფოტო.
Tsikhisdziri Street №5 (lower level). Photo by Lia Bokuchava.



16. ციხისძირის ქუჩა, №5, საცხოვრებელი სახლის სათავსი და ძველი აბანოს ცისტერნა. ნინო კორძახიას ფოტო.
Tsikhisdziri Street №5. The facility of the residential house and the cistern of the old bath. Photo by Nino Kordzakhia.



17. ციხისძირის ქუჩა, №5, საცხოვრებელი სახლის სათავსი და ძველი აბანოს ცისტერნა, ნინო კორძახიას ფოტო.
Tsikhisdziri Street №5. The facility of the residential house and the cistern of the old bath. Photo by Nino Kordzakhia.



18. ციხისძირის ქუჩა, №5, საცხოვრებელი სახლის სათავსი და ძველი აბანოს ცისტერნა. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Tsikhisdziri Street №5. The facility of the residential house and the cistern of the old bath. Photo by Lia Bokuchava.



19. ციხისძირის ქუჩა, №5, ძველი აბანოს ცისტერნა და ქვაბი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Tsikhisdziri Street №5. The cistern of the old bath and the boiler. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



20. ციხისძირის ქუჩა, №5, ძველი აბანოს ცისტერნა, ნინო კორძახიას ფოტო.
Tsikhisdziri Street №5. The cistern of the old bath. Photo by Nino Kordzakhia.

ეს აღმოჩენა ჩვენი საკვლევი ჯგუფისათვისაც მეტად მღელვარე და მოულოდნელი იყო, რადგან ამ ტიპის აბანოებისთვის დამახასიათებელი სრულად გამოვლენილი საქვაბე და ცისტერნა იშვიათობას წარმოადგენს. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს სათავსი აბანოს ერთადერთი განყოფილებაა, სადაც აბანოს თავდაპირველი იატაკის დონე პირვანდელი სიმაღლითაა შენარჩუნებული. იატაკში ჩაჭრილია ოვალური ხვრელი, სადაც განთავსებულია სპილენძის სახურავიანი ქვაბი, რომელიც გარედან შენთებული ცეცხლით ცხელდებოდა.

დასკვნის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი: აბანოს გეგმა, შენობის დიდი ზომა და ახალციხის ციხის ერთ-ერთ კარიბჭესთან სიახლოვე მიუთითებს, რომ ახალციხის ციხისძირის ქუჩაზე მდებარე აბანო საზოგადოებრივი (საყოველთაო) მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. მათ შორის ციხის გარნიზონის საკმაოდ დიდ მასაც უნდა ვიგულისხმოთ. შენობაში არ ჩანს ერთმანეთისაგან იზოლირებული განყოფილებები ქალთა და მამაკაცებისათვის. როგორც ჩანს, მათ მორიგეობით შეეძლოთ აბანოთი სარგებლობა კვირის გარკვეულ დღეებში, რაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა ამ ტიპის აბანოებისთვის. ისევე როგორც ახალციხის დიდი აბანო, ეს შენობაც XVII-XVIII საუკუნეზე გვიან არ უნდა იყოს აგებული. შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო ადგილებიც უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ ახალციხეში არსებობდა ებრაელების ბაზარი,[66] რომელიც სიდიდით, ალბათ, დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ იქ მხოლოდ ებრაელი ვაჭრები და მყიდველები არ იყრიდნენ თავს.

[66] თვითნასწავლი მხატვარის შალომ კობოშვილის (1876-1941) ერთ-ერთ ფერწერულ ტილოზე სახელწოდებით, „ებრაელთა ბაზარი ახალციხეში“, გამოსახულია ბრტყლად გადახურული დუქნები, რომლებსაც ხის მორებზე დაწყობილი ძლიერ შვრილი სახურავები აქვს.

აბანო ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე, # 98

XIX საუკუნიდან ახალციხის ცხოვრებაში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ვაკეზე გაშენებული ქალაქის ნაწილი მდინარე ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე (პლანი), სადაც აშენდა ახალი საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული შენობები, ქარვასლები, სავაჭრო ადგილები და აბანოები.[67] ჩვენ საკვლევ თემასთან დაკავშირებით, საინტერესოა ამჟამად უფუნქციო აბანოს შენობა, რომელიც მდებარეობს ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე (№98), წიქვაძის ქუჩის გადაკვეთასთან. ნაგებობა საქართველოს მელიორაციის კუთვნილ სამეურნეო ეზოშია მოქცეული. ეზოს გისოსებიანი ზღუდე უვლის გარშემო, რომელშიც ალაყაფის კარია შებმული. აბანოს შენობის სრულყოფილი საველე გამოკვლევის ჩატარება ადგილზე ვერ მოხერხდა, მაგრამ მისი არქიტექტურის შესახებ გარკვეული დასკვნების გამოტანა შესაძლებელია. ზემოთ განხილულ აბანოებთან შედარებით, ის მცირე ზომის, შეიძლება ითქვას კამერული ხასიათისაა.



1. აბანო ე. თაყაიშვილის ქუჩაზე, საერთო ხედი. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Bath on E. Takaishvili Street. General view. Photo by Lia Bokuchava.

[67] ნ. ნაცვლიშვილი, ახალციხე. წიგნში: საქართველოს ქალაქების ..., გვ. 253.



2. აბანო ე. თაყაიშვილის ქუჩაზე. საერთო ხედი. ნინო კორძახიას ფოტო.
Bath on E. Takaishvili Street. General view. Photo by Nino Kordzakhia.



4. აბანო ე.თაყაიშვილის ქუჩაზე, გუმბათები ზედა ტერასაზე. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Bath on E. Takaishvili Street. Domes on the upper terrace. Photo by Lia Bokuchava.



9. აბანო ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე, ინტერიერი. ნინო კორძახიას ფოტო.
Bath on E. Takaishvili Street. Interior. Photo by Nino Kordzakhia.



8. აბანო ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე, ინტერიერი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Bath on E. Takaishvili Street. Interior. Photo by Lia Bokuchava.

ნაგებობა დგას ეზოს ჩრდილოეთ მხარეს, რომელიც საყრდენი კედლითაა შემაგრებული. აბანოს გუმბათები კედლის ზედა ტერასაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის სიახლოვეს ამოდის სამშენებლო მასალად გამოყენებულია აგური, ნატეხი ქვა და მცირეოდენი რაოდენობით — თლილი ქვა. გეგმის სწორკუთხედში მოქცეული შენობის სათავსები განივ ხაზზე, მწკრივადაა დალაგებული. მისი შედარებით მოზრდილი, გუმბათით დასრულებული ცენტრალური სივრცე აბანოს მისაღები, ანუ ვესტიბული იქნებოდა. როგორც წესი, მასთან დაკავშირებული უნდა იყოს გასახდელი. ვესტიბულის მეორე მხარე სააბაზანოს უკავია, რომელსაც დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს გარედან.[68] გეგმაში კვადრატის მოყვანილობის ეს სათავსი შედარებით მცირე ზომის გუმბათითაა დასრულებული. გუმბათქვეშა სწორკუთხედიდან წრეზე გადასვლა ხორციელდება ნახევარწრიულ თაღებსა და მათ შორის ამოყვანილ აფრების მეშვეობით, რომლის ზევით გუმბათქვეშა წრე იკვრება.



6. აბანო ე.თაყაიშვილის ქუჩაზე, ინტერიერი. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Bath on E. Takaishvili Street. Interior. Photo by Lia Bokuchava.

სააბაზანოში წყლის გადმოსადინებელი მილების კვალი ჩანს, ფასადზე ყურადღებას იქცევს ცენტრალური ნაწილი, რომელიც წვერისკენ ოდნავ შეტეხილი, თლილი ქვით გადაყვანილი თაღითაა გაფორმებული. თაღის ქუსლის დონეზე შემორჩენილია გვერდითი თაღების საწყისი, რომელიც შეწყვეტილია.

[68] ჩვენმა ჯგუფმა მხოლოდ ამ სათავსში მოახერხა შეღწევა.



3. აბანო ე. თაყაიშვილის ქუჩაზე, ცენტრალური შესასვლელი ფასადზე. ნინო კორძახიას ფოტო.
Bath on E. Takaishvili Street. Façade of the main entrance. Photo by Nino Kordzakhia.



5. აბანო ე. თაყაიშვილის ქუჩაზე, წყარო აბანოსთან. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Bath on E. Takaishvili Street. The spring near the bath. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

შენობიდან მოშორებით მოწყობილია ერთიან ქვაში ამოკვეთილი თაღოვანი წყარო. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, აბანო XX ს-ის შუა წლებამდე ფუნქციონირებდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში შენობამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. რაც შეეხება თარიღს: ვინაიდან ამ ტიპის აბანოებს მოგვიანო პერიოდშიც აგებდნენ, სავარაუდოა, რომ ის მარცხენა სანაპიროს აბანოს შენობებზე გვიანდელია. აღნიშნული საკითხი სათანადო გამოკვლევის შედეგად შეიძლება დაზუსტდეს.

აწყური

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

აწყური (აწყვერი) სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძველი ქალაქი და საეკლესიო ცენტრი იყო. ქართულ სალიტერატურო და საისტორიო წყაროებში არაერთგზის გვხვდება ცნობები მის შესახებ. უძველესი ცნობა მოციქული ანდრია პირველწოდებულის სამისიონერო მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული; VIII-IX საუკუნიდან მოიხსენიება აწყურის საეპისკოპოსო, XI საუკუნიდან — მისი ციხე. აწყურის, როგორც დასახლებული პუნქტის სიძველეზე მიანიშნებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული მასალა.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, „აწყური წყლიან ადგილს, წყლის ადგილს უნდა ნიშნავდეს. უძველესი დროიდან მოყოლებული ის გაშენებული იყო მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე“[69]. აწყური თითქოს ერთგვარ კარიბჭეს წარმოადგენს ქვეყნის სხვა მხარეებისკენ გზის გასაგრძელებლად. ალბათ, ასეთი მდებარეობა განაპირობებდა ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებში ამ პუნქტის გამშვები-საკონტროლო ფუნქციას [70].

XVII საუკუნეში აწყური მოინახულა ჟან შარდენმა. მისი აღწერით, „ახალციხიდან გავემართეთ აღმოსავლეთისაკენ. სამი მილის იქით ახლციხის ველს მთები ისე უახლოვდება, რომ განით იგი ნახევარი მილიღა თუ იქნება. ამ ადგილას, მტკვრის მარჯვენა მხარეს, კლდეზე დგას ძლიერი ციხე-სიმაგრე. კედლის ქვევით ორმაგი გალავანი აქვს შემორტყმული და ირგვლივ პატარა ქალაქია, ისეთივე, როგორც ახალციხე, რომელსაც ციხესა და მოპირდაპირე მთას შორის ფართობი უჭირავს. ამ ქალაქს აწყური ჰქვია. აქ არის სანჯაყი, ჯარი, მცველები და საბაჟო“[71].

ბატონიშვილი ვახუშტის აღწერის მიხედვით, „…მტკურის კიდეზედ სამჴრით არს აწყუერი, ქალაქი და ციხე დიდშენი. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი, და ურიანი ვაჭარნი, არამედ წარჩინებულნი — მოჰმადიანნი. აქა არს ეკლესია დიდშენი, შუენიერად ქმნული, გუმბათიანი, ყოვლადწმიდის ღვთისმშობლისა… გარნა აწ უქმ არს, არამედ ციხესა დგანან იენგიჩარნი. აქ არს ჴიდი მტკუარსა ზედა“[72].

XIX- XX მიჯნაზე აწყური უკვე სოფლად ქცეულა. ალექსანდრე ყიფშიძის (ა. ფრონელი) აღწერის მიხედვით, „ დღევანდელი სოფელი აწყური ძველად ქალაქი ყოფილა და დასახლებული მესხებით, ებრაელებითა და სომხებით. ახლა აწყურელები გამაჰმადიანებული არიან, ხოლო ქართული არ დავიწყებიათ… მტკვრის მარცხენა ნაპირზე მოსახლობენ მართლმადიდებელი ქართველნი, სომეხნი და ებრაელნი. ქართველებს აქვთ სკოლა, სადაც ქართული ენაცაა. აწყურში იჯდა მიტროპოლიტი და

[69] მ. ბერიძე, აწყურის ეტიმოლოგიისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, № XII, 2008, გვ.., 34.

[70] საინტერესო, რომ აწყურმა ეს ფუნქცია საბჭოთა პერიოდშიც შეინარჩუნა. იმდროინდელი წესებით, აწყურიდან ისტორიულ ჯავახეთში გზის გასაგრძელებლად, სპეციალური საშვის წარდგენა იყო საჭირო.

[71] ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა დ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ... გვ. 273.

[72] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა ... გვ. 662, 15.

კათედრად მშვენიერი გუმბათიანი ტაძარი ჰქონდა. გუმბათი ჩამონგრეულა, ინგრევა აგრეთვე კედლები“[73].

აწყურის სამწყსო დიდ ტერიტორიას მოიცავდა. XVI ს-ში სამცხე-საათაბაგოს მთავარმა მზეჭაბუკმა კიდევ უფრო გააფართოვა საკუთარი სამფლობელოები და პოლიტიკურთან ერთად, ეკლესიური დამოუკიდებლობაც მოიპოვა, რაც იურიდიულად გაამყარა იერუსალიმის პატრიარქმა დოროთეოსმა. მზეჭაბუკმა „ინება განდიდება და განმთავრება წმიდისა საყდრისა აწყურისა, რომელსაც ამიერიდან მთელი მესხეთის ეკლესია უნდა დაქვემდებარებოდა, ხოლო დოროთეოს პატრიარქმა მას სათანადო დასტური მისცა“[74]. XVI ს-ის დასასრულს სამცხე-საათაბაგომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგა.



1. აწყური, ხიდი მტკვარზე და ხედი მარცხენა სანაპიროს დასახლებაზე, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Atskuri. Bridge on Kura river and the view of the left-bank settlement. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

აწყურის კათედრალი მრავალჯერ დაზიანდა ბუნებრივი კატასტროფების შედეგად. XIII ს-ში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის დროს „…საყდარი აწყურისა დაიქცა…“. მომდევნო პერიოდებში ტაძარი აღადგინეს სამცხის ათაბაგებმა. ოსმალთა მმართველობის პერიოდში აწყურის ტაძარი, ისევე როგორც სამცხის არაერთი ეკლესია, გაიძარცვა. ამ მხრივ, არც 1920-იანი წლების დასაწყისი იყო სახარბიელო. სიძველეთა მკვლევარი გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც 1932-33 წწ-ში იმოგზაურა სამცხე ჯავახეთში, აღნიშნავს, რომ 1921 წელს ადგილობრივ ავტორიტეტს აწურის ეკლესიის „…ბევრი ნაწილი დაუქცევია – ქვა მტკვრის ბურჯისათვის შეუხმარებიათ, ნაწილობრივ ხალხისთვის მიუცია და აქა-იქ სახლებს უდევს მისი ქვები“[75]. ამ დროს ეკლესიას გუმბათი აღარ ჰქონია. XIX ს-ის ბოლოს გადაღებულ საარქივო ფოტოზე აწყურის ტაძარი უგუმბათოდაა წარმოდგენილი.

[73] ა. ფრონელი, დასახ. ნაშრ., გვ.145.
[74] ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება.., , გვ.22.
[75] გ. ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ., გვ.31.



2. აწყური, მარცხენა სანაპიროს დასახლება, წინა პლანზე აბანოს გუმბათი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Atskuri. The left-bank settlement. The dome of the bath is in the foreground. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

თანამედროვე ადმინისტარციული დანაწილებით, სოფელი აწყური ახალციხის მუნიციპალიტეტში შემავალი, მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე განლაგებული სოფლის ტიპის დასახლება და ადმინისტრაციული ცენტრია. ბუნებრივ გარემოსთან ერთად, მის ურბანულ სახეს განსაზღვრავს შუა საუკუნეების არქიტექტურული ნაგებობები. მათ შორის განსაკუთრებული როლი ენიჭება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე წამომართულ ციხეს[76] და აწყურის ღმრთისმშობლის ტაძარს, რომელიც ამჟამად რეაბილიტაციის პროცესშია.



6. აწყურის ციხე და აბანო, საერთო ხედი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Atskuri castle and the bath. General view. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

[76] ვ. ბერიძე, XVI-XVII სს-ის ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I, თბ., 1983, გვ. 41.

აწყურის აბანო

აწყურის საქალაქო ცხოვრების ამსახველი ნაგებობებიდან შემორჩენილია XVII-XVIII სს-ის აბანოს შენობა, რომელიც დგას მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდინარის ორი მხარის შემაერთებელი ხიდის სიახლოვეს. ამჟამად უმოქმედო შენობის გვერდზე მოედინება ღელე, რომელსაც ადგილობრივები აბანოს ღელეს უწოდებენ. მისკენაა მიმართული შენობის მთავარი ფასადი შესასვლელი. ღელის ორივე ნაპირზე მიჯრით მიყოლებული ეზო-კარმიდამოებია ჩარიგებული. XX ს-ის შუა ხანებიდან აწყურში ზესტაფონის რაიონიდან გადმოსული მოსახლეობა დამკვიდრდა. მათივე გადმოცემით, საბჭოთა პერიოდში აბანო ჯერ კიდევ მოქმედი იყო და კვირის გარკვეული დღეებში მხოლოდ ქალებისთვის ყოფილა დათმობილი[77].



7. აწყურის აბანო, ფასადი მთავარი შესასვლელით. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო
Atskuti. The bath. Façade and the main entrance. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

აბანოს მიმდებარე უბანში, საცხოვრებელი სახლების ეზოების სიღრმეში შემორჩენილია უხეშად დამუშავებული ქვით მკვიდრად ნაგები წყობის მქონე შენობათა ფრაგმენტები, რომელსაც გისოსებიანი პატარა სარკმლები აქვს. ზოგიერთ მათგანზე მეორე სართულია დაშენებული ადგილობრივთა გადმოცემით, შენობები წარსულში აქ მოსახლე ბეგების საცხოვრებლისაგანაა შემორჩენილი. მსგავსი წყობით ნაგები შენობათა ფრაგმენტები ხიდთანაც შეინიშნება.

[77] ადგიობრივმა მოსახლემ (ეთერ გაჩეჩილაძე, 60 წლის) გვიამბო, რომ მის ბავშვობაში აწყურის აბანო მოქმედი ყოფილა, შენობაში მდგარა ქვის ტახტები, წყალი გროვდებოდა ქვისავე რეზერვუარებში.



10. აწყური, აბანოს ღელე და აბანოს შენობა, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Atskuri. The streamlet and the building of the bath. Photo by Lia Bokuchava.



3. აწყური, საცხოვრებელი სახლი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Atskuri. Residential house. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



4. აწყური, ძველი საცხოვრებლის კედელი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Atskuri. The wall of the old residential house. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.




5, აწყური, XX ს-ის დასაწყისის საცხოვრებელი სახლი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Atskuti. Early XX-century residential house. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

ეს უნდა მიანიშნებდეს, რომ აწყურის ქალაქობის პერიოდში აბანოს მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდ იყო დასახლებული და სწორედ აქ მდებარეობდა საქმიანი ცენტრი და შეძლებულ მოქალაქეთა სამოსახლო, სადაც მესხების, ებრაელების და სომხების გარდა, როგორც ბატონიშვილი ვახუშტი აღნიშნავს, „წარჩინებულნი – მოჰმადიანნი“ სახლობდნენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1830-იან წლებში ერზრუმიდან ჩამოსახლებული სომხური მოსახლეობის ნაწილი ჯერ აწყურის ციხეში განათავსეს. მოგვიანებით, გარკვეულმა ჯგუფმა შეძლო ადგილობრივთა მიტოვებული საცხოვრებელი სახლების შეკეთება და აწყურში დამკვიდრება[78].

XX ს-ის დასაწყისში აწყურში უკვე სხვა ტიპის საცხოვრებელს აგებდნენ. ერთ-ერთი მათგანი შემორჩენილია მთავარი გზატკეცილის პირას. ეს არის ორსართულიანი შენობა, რომლის ქვედა ნაწილი ქვისაა, ხოლო ზედა-ხისაგანაა ნაგები, ჭვირული ორნამენტით შემკული აივნით. პირველი და მეორე სართულების დამაკავშირებელი, ჭვირული დეტალებით გაფორმებული დახურული კიბით.

* * *



N4. აწყური, აბანო, გეგმა და სამხრეთი ფასადი. ჩაიხატეს ნინო კორძახიამ და ლია ბოკუჩავამ; აზომეს ნინო კორძახიამ, ლია ბოკუჩავამ და ნატო ცინცაბაძემ; შეასრულა ნინო კორძახიამ.
Atskuri. Bath. Plan and the south façade. Sketch was made by Nino Kordzakhia and Lia Bokuchava. Measured by Nino Kordzakhia, Lia Bokuchava, and Nato Tsintsabadze. Drawing by Nino Kordzakhia.

[78] ლ. ჯანიაშვილი, XIX საუკუნეში ქვმო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებული სომხების ადაპტაციის სოციალურ-პილიტიკური და კულტურული ფაქტორები,ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XVII, თბ., 2015, გვ.23-24.

პირველი, რაც აწყურის აბანოს განასხვავებს ახალციხის ძველი აბანოებისაგან, არის ნაგებობის განთავსება ვაკე ადგილზე. არცერთი სათავსი არ არის ჩადგმული მიწაში, როგორც ეს ვნახეთ ახალციხის მარცხენა სანაპიროს ძველ აბანოებში, თუმცა მათ მსგავსად, აწყურის აბანოს სხვადასხვა ფართობის და დანიშნულების მქონე სათავსები გეგმის სწორკუთხედშია მოქცეული.



13. აწყურის აბანო, ინტერიერი, ვესტიბული. ხედი აღმოსავლეთით, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Atskuri bath. Interior. The hall. East view. Photo by Lia Bokuchava.




14. აწყურის აბანო, ინტერიერი, ვესტიბული, ხედი დასავლეთით. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო
Atskuri bath. Interior. The hall. West view. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



16. აწყურის აბანო, ინტერიერი, ვესტიბული, გუმბათქვეშა სივრცე.ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.

Atskuri bath. Interior. The hall. The space under the dome. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



N5. აწყური, აბანო, გეგმა (კროკი), ჩაიხატა ნინო კორძახიამ.

Atskuri. Bath. Plan (sketch). Sketch was made by Nino Kordzakhia.



11. ინტერიერი, გასახდელი, ხედი სამხრეთით. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Atskuri bath. Interior. Dressing room. South view. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



12. ფასადის ფრაგმენტი. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Atskuri bath. The fragment of the facade. Photo by Lia Bokuchava.



21. აწყურის აბანო, ინტრიერი, გასახდელი, ხედი ჩრდილოეთით. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Atskuri bath. Interior. The dressing room. The view to the north. Photo by Lia Bokuchava.

მათ შორის სიდიდით გამოირჩევა მდინარის პირისკენ მიქცეული, ათ მეტრამდე დიამეტრის მქონე გუმბათით გადახურული ერთიანი დაუნაწევრებელი სივრცე, რომელიც აბანოს მისაღები უნდა ყოფილიყო. აქედან ჯერ გუმბათით გადახურულ სამ მცირე სათავსში შეიძლებოდა მოხვედრა, რომლებიც მოზრდილ გასახდელს უკავშირდებოდა.



25. აწყურის აბანო, ინტრიერი, ქვაში გამოკვეთილი წყლის რეზერვუარი, სააბაზანო განყოფილებაში. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.

Atskuri bath. Interior. The water tank in the bath unit curved into the stone. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



26. აწყურის აბანო, გასახდელთან დაკავშრებული მცირე სააბაზანოს შესასვლელი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.

Atskuri bath. The entrance to the small bath unit is connected to the dressing room. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

გასახდელიდან სხვადასხვა ზომის ოთხ სააბაზანოში ხვდებოდა მიმსვლელი. ყველა ჩამოთვლილი განყოფილება ცენტრიდან დაწეული გუმათებითაა დახურული, რომელთა დიდი ნაწილი ძლიერ დაზიანებულია.




19. აწყურის აბანო, , ინტრიერი, სააბაზანო განყოფილების გუმბათი.ლია ბოკუჩავას ფოტო.
Atskuri bath. Interior. The dome of the bath unit. Photo by Lia Bokuchava.



20. აწყურის აბანო, ინტერიერი, ვესტიბულის მიმდებარე გუმბათიანი სათავსი. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Atskuri bath. Interior. The facility with a dome, adjacent to the lobby. Photo by Lia Bokuchava.

აბანოსთვის სამშენებლო მასალად გამოყენებულია აგური, რიყის ქვა, თლილი ქვა. შენობას ეტყობა საბჭოთა პერიოდის შეკეთებები, რომლებიც ცემენტით და რკინაბეტონით არის შესრულებული, ნაგებობაზე მიშენებულია ფიცრული სათავსები.



N6. აწყური, აბანო, სამხრეთი ფასადი (კროკი), ჩაიხატა ლია ბოკუჩავამ
Atskuri. Bath. Sketch was made by Lia Bokuchava.

ფუნქციის დაკარგვის შემდეგ შენობა გამოიყენებოდა საწყობად და საქონლის სადგომად. ინტერიერის კონსტრუქციულად საპასუხისგებო ადგილებში, ისევე როგორც ახალციხის ძველ აბანოებში, ბაზალტის თლილი ქვისაგან ნაწყობი, კონსოლებზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღები გვხვდება, შენობაში არსებული ნახევარწრიული თაღები ცალფერდად დალაგებული აგურითაა გამოყვანილი. აგურისავე მასალაა გამოიყენებული გუმბათებისთვის, რომლებსაც გარედან საბჭოთა პერიოდის ცემენტის ფენა ფარავს.



22. აწყურის აბანო, ინტერიერი, კედლის წყობა. ნინო კორძახიას ფოტო.
Atskuri bath. Interior. Settling of the wall. Photo by Nino Kordzakhia.




15. აწყურის აბანო, ინტერიერი, ვესტიბული. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.

Atskuri bath. Interior. The hall.
Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



23. აწყურის აბანო, ინტრიერი, ცისტერნა. ნინო კორძახიას ფოტო.
Atskuri bath. Interior. The cistern. Photo by Nino Kordzakhia.



24. აწყურის აბანო, ინტრიერი, ცისტერნა, ნინო კორძახიას ფოტო.

Atskuri bath. Interior. The cistern. Photo by Nino Kordzakhia.

აბანოს მისაღები და სააბაზანოსთვის განკუთვნილი სათავსების რიგს ასრულებს უხეშად თლილი ქვის ცილინდრული კამარით გადახურული წყლის რეზერვუარი, რომელიც შენობის მთელ სიგანეს იკავებს. მას მოსდევს საქვაბე. ხოლო კიდურა ნაწილში მოწყობილია წყარო. მის თავზე ჩადგმულ თლილი ქვის ზედაპირზე მოთავსებულია სომხური ალფავიტით შესრულებული ლაპიდარული წარწერა და მისი შესრულების თარიღი — 1915.



27. აწყურის აბანო, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთით. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Atskuri bath. The view to the southeast. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



28. აწყურის აბანო, ხედი აღმოსავლეთით, 1915 წლის სომხური ლაპიდარული წარწერა. ლია ბოკუჩავას ფოტო.
Atskuri bath. The view to the east. Armenian lapidary inscription, 1915. Photo by Lia Bokuchava.



8. აწყურის აბანოს მთავარი შესასვლელის გაფორმება, ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.

Atskuri bath. Decoration of the main entrance. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.



9. აწყურის აბანოს მთავარი შესასვლელის ფრაგმენტი. ციცინო ჩაჩხუნაშვილის ფოტო.
Atskuri bath. Fragments of the main entrance. Photo by Tsitsino Chachkhunashvili.

ცალკე საკითხია შენობის ფასადის და ინტერიერის გაფორმება. მთავარი შესასვლელის მშვილდათღიანი ღიობი მოთავსებულია ცენტრიდან აწეული, კვერცხისებური მოყვანილობის თლილი ქვით გადაყვანილი თაღით დასრულებულ, კედლის სიბრტყიდან ღრმად ჩამჯდარ ნიშაში ფასადი ეკლესიებიდან ჩამოხსნილი, სხვადასხვა შეფერილობის (ოქროსფერი, ვარდისფერი, ღვინისფერი, რუხი) თლილი კვადრებით და ორნამენტით შემკული ფრაგმენტებითაა შემოსილი, რასაც ემატება პირდაპირ ქვის წყობაზე დატანილი, ერთმანეთში გადაღვრილი მოვარდისფრო, ყვითელი და მოწითალო ფერის საღებავის ეფექტები. ეს ყველაფერი თითქოს შიგნიდან ანათებს და ძალზე შთამბეჭდავია, განსაკუთრებით — მზიან ამინდში. არანაკლებ ფერადოვანი უნდა ყოფილიყო აბანოს ინტერიერის გაფორმება, რომლისგანაც მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. ვესტიბულის ნახევარწრიული მოხაზულობის ნალესობით დაფარულ თაღების ზედაპირზე შემორჩენილია შავი ფერის კონტურით შემოწერილი და ინტენსიური სინგურით შეფერილი გრაფიკული ნახატი. როგორც ჩანს, ასეთივე საღებავით იყო შეფერილი კედლის გარკვეული მონაკვეთები. აწყურის აბანო, ისევე როგორც ახალციხის ძველი აბანოები, XVII- XVIII სს. მიეკუთვნება.



17. აწყურის აბანო, ვესტიბული, ინტრიერის გაფორმების ფრაგმენტები. ნინო კორძახიას ფოტო.
Atskuri bath. The hall. The fragments of the hall decoration. Photo by Nino Kordzakhia.



18. აწყურის აბანო, ვესტიბული, ინტერიერის გაფორმების ფრაგმენტები. ნინო კორძახიას ფოტო.
Atskuri bath. The hall. The fragments of the hall decoration. Photo by Nino Kordzakhia.

აწყური ძველი დასახლებული პუნქტი და საკრალური ადგილია, რომელიც საქართველოს ისტორიის არაერთ მნიშვნელოვან ეტაპს უკავშირდება. მისი წარსული მოვლენები განსხეულებულია შუა საუკუნეების საეკლესიო და სათავდაცვო არქიტექტურაში. მათთან ერთად, მოკრძალებულ, მაგრამ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გვიანი შუა საუკუნეების აბანო, რომელიც ქართულ ნიადაგზე გადასხვაფერებულ აღმოსავლური ყაიდის შენობას წარმოადგენს.

ახალციხის და აწყურის ძველი აბანოები ამჟამად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადაა აღრიცხული; 1940-იანი წლებიდან მიმდინარეობს მათი ფიქსაცია და შესწავლა; შემუშავებულია ახალციხის დიდი აბანოს რეაბილიტაციის პროექტი. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ამ შენობების გადასარჩენად და თანამედროვე ცხოვრებაში ჩასართავად.

კახეთი


თელავი

მოკლე ისტორიული მიმოხილვა

„თვალს დავაყოლებ ალაზანს,
ქცეულსა ბევრჯელ სისხლადა,
ველს, ოქროს მტევნად წოდებულს,
აჰკიდებია კისრადა
გაღმა-გამოღმა სოფლები,
თავის სიცოცხლედ, იღბლადა.
ფილტვად აქვს კახეთს თელავი,
ხოლო სიღნაღი — ღვიძლადა,
პირის-პირ დაუყენებენ
კავკასიის ქედს ჯიბრადა
იმ თავის ციხე-გალავნებს,
ანაგებებსა მკვიდრადა.“
ვაჟა-ფშაველა



1. თელავი, ხედი ქალაქიდან კავკასიონზე, შალვა ლეჟავას ფოტო
Telavi. View of the Caucasus ridge from the city. Photo by Shalva Lezhava.



A1. თელავის მოედანი, გრავიურა, არტურ ვიკტორ დერუას ნახატი, შესრულებული ფოტოდან, XIX ს-ის II ნახევარი, სულხან სალაძის კოლექციიდან, (ილუსტრაცია ქვეყნდება მფლობელის თანხმობით)
Telavi square, Gravure of the second half of the XIX century, drawn from a photograph by A.Deroy . From the collection of Sulkhan Saladze (The image is published with the permission by the owner).



A2. თელავი, საერთო ხედი, XIX საუკუნის ბოლო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
Telavi. General view, middle of XIX century. National Archives of Georgia.

მართლაც, კავკასიონის პირისპირ, მთის კალთებზე შეფენილი, სიმწვანეში ჩაძირული ქალაქი თელავი ურბანული „უწესრიგობითა“ და ქუჩების დინამიური პლასტიკით სრულიად გამორჩეული, რთული ისტორიული წარსულისა და განუმეორებელი მხატვრული ხიბლის მატარებელია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული მხარის, კახეთის ეს ერთ-ერთი უძველესი, არქიტექტურულ-მხატვრული

ღირებულებითა თუ განსაკუთრებული, მომხიბვლელი ადგილმდებარეობით გამორჩეული ქალაქი, წინარექრისტიანული დროიდან დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. გომბორის მონუმენტური ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთის ძირში, ალაზნის ველის გასწვრივ, ამაღლებულ ადგილას, შვიდ ბორცვზე[79] გაშენებული, იგი გადაჰყურებს მის წინ უსასრულოდ გაშლილ ალაზნის ველს, რომელიც ერთი მხრიდან, ქალაქის საპირისპიროდ, კავკასიონის გრანდიოზული მთების ჯაჭვით არის შემოსაზღვრული.



2. თელავი, ქალაქის ფრაგმენტი, შალვა ლეჟავას ფოტო.

Telavi. Part of the city. Photo by Shalva Lezhava.

[79] შვიდ ბორცვზეა დაფუძნებული ისეთი ისტორიული ქალაქები როგორიცაა რომი, კონსტანტინოპოლი, მოსკოვი; თელავის ბორცვების ტოპონიმები ასე ჟღერს: ზუზუმბო, ნადიკვარი, გიგოს გორა, ვახვახიშვილების გორა, ბატონისციხის ბორცვი, ყორჩიბაშიშვილების გორა - ღვთაება, ძველი გალავანი - გორიჯვარი, ყადორი. იხ., ქ.თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, ლ.ანდრონიკაშვილი, ქ.თალავის ტერიტორიის ისტორიული, არქიტექტურული, არქეოლოგიური, ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევა, ტომი1, 2018, გვ. 46




3. თელავი, ქალაქის ფრაგმენტი, შალვა ლეჟავას ფოტო.
Telavi. Part of the city. Photo by Shalva Lezhava.



3. თელავი, ქალაქის ფრაგმენტი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Part of the city. Photo by Lia Bokuchava.

თელავის ადრეულ წარმომავლობაზე მეტყველებს მოსაზრება, რომლის თანახმად ახ. წ. II ს-ის ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიაში“ დასახელებული ქალაქი „თელაივა-თელადა“ იგივე თელავია[80]. თელავი „თუბლას“ სახელით მოხსენიებულია X ს-ის არაბულ წერილობით წყაროშიც[81]. სახელწოდების ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პლატონ იოსელიანის მოსაზრება[82] გაზიარებული ივანე ჯავახიშვილის[83] მიერ , რომლის თანახმად სახელწოდება თელავი წარმოიქმნა ამ რეგიონში გავრცელებული ხე-მცენარე თელადან (tilia, nimus campestris) მნიშვნელოვანი გზების გასაყარზე მდებარე ამ დასახლების ქალაქად ქცევა სწორედაც ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა და სტრატეგიულმა მდებარეობამ, ასევე განუმეორებელმა ლანდშაფტმა განაპირობა. ქალაქმა განსაკუთრებულ მნიშვნელობას შუა საუკუნეებში მიაღწია. მისი პირველი აყვავება კახეთის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბების ხანას — IX-X საუკუნეებს მიეკუთვნება. ამ პერიოდში ქართულ საისტორიო წყაროებში ჩნდება ინფორმაცია თელავის შესახებ.



A3. თელავი, საერთო ხედი, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, XIX საუკუნის ბოლო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
Telavi. General view, Photo by Dmitry Ermakov, middle of XIX century. National Archives of Georgia.


[80] ს.ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964: გვ.73; ლ.რჩეულიშვილი, თელავი, თბ., 1963, გვ.5

[81] ც.ჩიკოიძე, თელავი გვიანფეოდალურ ხანაში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა),1979, გვ.,11

[82] Путевыя записки по Кахетии Коллежскаго Ассесора и кавалера Платона Іосселіана,Тифлисъ, 1846, გვ.50

[83] ლ.რჩეულიშვილი, დასახ.ნაშრ., გვ.5; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1913, გვ.11

XI საუკუნის პირველ მეოთხედში, ახალი ისტორიული პროცესების ფონზე, შეიქმნა ჰერეთ-კახეთის ძლიერი სამეფო. მისმა პირველმა მეფე კვირიკე III (1010/1014-1037) თელავი სატახტო ქალაქი გახადა. ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს კვირიკეს დროინდელ თელავს: „გულგულას ქვეით, თურდოს ჰევის სამხრეთით, არს თელავი, რომელი ჰყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმან კახეთს და ჰერეთს, სასახლე დიდი ვითარცა ქალაქი“.[84] სასახლე აშენებული ყოფილა სტრატეგიულად მნიშვნელოვან მაღალ ბორცვზე. სამწუხაროდ კვირიკეს დროინდელ მშენებლობისგან ჩვენამდე გალავნის ზღუდის ნაწილი (ფრაგმენტი) არის შემორჩენილი, რომელიც ცნობილია „ძველი გალავნის“ სახელით.[85]



A4. თელავი, საერთო ხედი, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო, XIX საუკუნის ბოლო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
Telavi. General view, Photo by Dmitry Ermakov, middle of XIX century. National Archives of Georgia.

ამ პერიოდში კახეთ-ჰერეთის სამეფო ცენტრალური ამიერკავკასიის ერთ-ერთ მძლავრ ფეოდალურ გაერთიანებას წარმოადგენდა. თელავი საქართველოს უმნიშვნელოვანესი ქალაქის სტატუსს ინარჩუნებს 1105 წლამდე, ანუ იმ დრომდე, როცა კახეთი გაერთიანებულ საქართველოს შეუერთდა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრმა თბილისში გადაინაცვლა. ამით სრულდება თელავის პირველი აღმავლობის ხანა.

[84] ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მოსე ჯანასვილის რედაქციით, თფ., 1904, გვ.163
[85] ლ.რჩეულიშვილი, დასახ.ნაშრ., გვ.6

XIII საუკუნის II ნახევრიდან, აღმოსავლეთის ექსპანსიამ მნიშვნელოვნად შეცვალა როგორც ქვეყნის ასევე ქალაქის ისტორია. 1278 წელს თელავი „მეფის გაიძვერა მონღოლი მოხელის სადუნ მანკაბერდელის კერძო საკუთრებადაც კი გადაიქცა“.[86] მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ, ქალაქის მნიშვნელობა ქვეითდება ვიდრე XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე თუმცა, კახეთი თავისი გეოგრაფიული და ბუნებრივი შესაძლებლობების წყალობით XV საუკუნეში კვლავ ახერხებს აღორძინებას — XV საუკუნის მეორე ნახევარში ყალიბდება ცალკე პოლიტიკური ერთეული კახეთის სამეფო. ოღონდ ამ დროიდან კახეთის სატახტო ქალაქი ხდება გრემი. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო რეზიდენციამ გრემში გადაინაცვლა, თელავში ამ პერიოდის მანძილზე მაინც გარკვულ ეკონომიური სტაბილურობა შეინიშნება. გრემმა სამეფოს დედაქალაქის სტატუსი ორი საუკუნის მანძილზე შეინარჩუნა, ხოლო XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან 1616 წლის შემდგომ, როცა შაჰ-აბასმა გამანადგურებელი შეტევის შედეგად მიწასთან გაასწორა ქალაქი, მეფე არჩილ მეორემ, რომელიც კახეთში 1664-1675 წლებში მეფობდა, სამეფო რეზიდენცია კვლავ თელავში გადმოიტანა. XVII საუკუნის 60-იან წლებში, არჩილის მეფობისას არსებულმა მეტ-ნაკლებმა სიმშვიდემ ქალაქში ცხოვრება და მშენებლობა გამოაცოცხლა. სწორედ ამ დროს არჩილი იწყებს ახალ ადგილას სასახლის მშენებლობას. თუმცა, უკვე 1675 წელს იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა კახეთი და მხოლოდ XVIII საუკუნის დასაწყისში დავით მეფის (იმამ-ყული-ხანი) მმართველობის დროს (1703-1722) თელავი იბრუნებს დედაქალაქის სტატუსს და დავით მეფე (იმამ-ყული-ხანი) კვლავ განაგრძობს სასახლის მშენებლობას.

ქალაქის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება და აღმშენებლობა დაკავშირებულია თეიმურაზ მეორის გამეფებასთან (1733-1744). მიუხედავად საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებისა ამ პერიოდშიც არ წყდებოდა ოსმალებისა და ლეკების გაუთავებელი თარეში. თელავის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია თეიმურაზის ვაჟს, ერეკლე მეორეს. ერეკლე მეორის მმართველობის დროს მოსახლეობის მტრისა და ლეკიანობისგან დაცვის მიზნით დაიწყო საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობა: „მეფობასა ამისსა აშენდნენ სიმაგრენი ქართლ-კახეთისანი, ვიდრე ას სამოცამდე გალავანი და ბურჯნი... გალავანი თელავისა..“[87]


ქალაქის ურბანული სტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XVIII საუკუნის 80-იან წლებში იოანე ბაგრატიონის მიერ შემუშავებულ სამეფოს განვითარების სტრუქტურას და სტრატეგიას, რომელიც “სჯულდების“[88] სახელით არის ცნობილი. ბუნებრივია, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო და ეკონომიკური რეფორმები გულისხმობდა ურბანულ განვითარებასაც.

---

[86] იქვე, გვ.7

[87] ომან ხერხეულიძე, „მეფობა ერეკლე მეორესი,“ საქართველოს ისტორიის წყაროები 54, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები VII, თბ., 1989, გვ. 74

[88] იოანე ბაგრატიონი, სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), თბ., 1957



A5. თელავი, გრაფიკული გამოსახულება, XVIII ს-ის ბოლო, წიგნიდან „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“, ტ.II, გ. გელაშვილის გამოცემა
Telavi, graphic. End of XVIII century. From the book "Giuldeshtendt's ravel in Georgia", tome II, G.Gelashvili edition.

შვიდ ბორცვზე შეფენილი ქალაქის გამორჩეული ადგილმდებარეობა, ცხადია განსხვავებულ მიდგომას ითხოვდა. რთულმა, ბორცვულმა რელიეფმა განაპირობა უფრო თავისუფალი, ირეგულარული განაშენიანება. ისტორიულ-გეოგრაფიულმა ვითარებამ, ლეკთა თარეშმა გამოიწვია ქალაქში ციხე-სიმაგრეების, გალავნების და კარიბჭეების სიმრავლეც — ბატონის ციხე, ვახვახიშვილების, ყორჩიბაშიშვილების ციხე სიმაგრები, ძველი გალავანი.



5. თელავი, კარიბჭე, ნინო კორძახიას ფოტო.
Telavi. The gate of the city. Photo by Nino Kordzakhia.



6. თელავი, კარიბჭე, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. The gate of the city. Photo by Lia Bokuchava.



7. თელავი, ვახვახიშვილების ციხე-სიმაგრე, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Vakhvakhishvili castle. Photo by Lia Bokuchava.

ქუჩათა ქსელი ვითარდებოდა როგორც ციხე-სიმაგრეების ირგვლივ, ასევე განაშენიანება მიუყვებოდა ბორცვების დამრეც ფერდებსაც. ცოტა არ იყოს უსისტემო, თავისუფლად განლაგებულ ნაგებობათა შორის ვიწრო, პლსტიური, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები მიიკლაკნება თავისი მრავალი განშტოებით. ქუჩათა გადაკვეთის ადგილზე თავისუფალი მოყვანილობის მცირე მოედნები იქმნება. კარგად გამწვანებული, ბაღებში ჩაფლული ქალაქის მოძრავი, დინამიური, ცხოველხატული, უსისტემო განაშენიანება აქა-იქ შემორჩენილი რიყის ქვით მოკირწყლული ფენილით, სრულიად განსხვავებულ, განუმეორებელ, თვითმყოფად მხატვრულ სახეს უქმნის ქალაქს. საუკუნეთა მანძილზე უმძიმესი დანაკარგის მიუხედავად, აქ შუასაუკუნეების სურნელი დღესაც ტრიალებს.



8. თელავი, სავაჭრო რიგი, შალვა ლეჟავას ფოტო.
Telavi. Trade row. Photo by Shalva Lezhava.



9. თელავი, ქალაქის ფრაგმენტი, ქუჩა, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Fragment of the city, The street. Photo by Lia Bokuchava.



10. თელავი,ქალაქის ფრაგმენტი, ქუჩა, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Fragment of the city, The street. Photo by Lia Bokuchava.



11. თელავი, ქალაქის ფრაგმენტი, მოედანი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Fragment of the city, The square. Photo by Lia Bokuchava.



12. თელავი, ქალაქის ფრაგმენტი, ქუჩა, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Fragment of the city, The street. Photo by Lia Bokuchava.

XVII საუკუნეში, ქალაქის მეორე აღმავლობის დროს, ცენტრალურ, ქვედა, შედარებით სწორ მონაკვეთში ახალი სამეფო რეზიდენცია, ე.წ. "ბატონის ციხე" იყო გაშენებული, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა და სამ ჰექტარამდე ტერიტორიას მოიცავს. ქალაქგეგმარების თვალსაზრისით მისი მონუმენტური, მძლავრი მოცულობა, მნიშვნელოვან აქცენტად, დამასრულებელ წერტილად აღიქმება). თელავის უფრო კამერულ, ცოცხალ, დინამიურ და ირეგულარულ განაშენიანებასთან შედარებით ქალაქის ეს ნაწილი სრულიად განსხვავებულია. გაშლილი სივრცე მასშტაბური დაგეგმარების საშუალებას იძლეოდა. მოგვიანებით, რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდგომ, სწორედ აქ ვითარდება რეგულარული ქუჩათა ქსელი. რომელმაც მეტ-ნაკლებად თანაბარ სეგმენტებად დაანაწევრა ქალაქის ეს ნაწილი. გაიზარდა ქუჩების სიგანეც, შეიქმნა მოედნები.



13. თელავი, ბატონის ციხე, კარიბჭე, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. The gate of Batoni castle. Photo by Lia Bokuchava.



14. თელავი, ბატონის ციხე, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Batoni castle. Photo by Lia Bokuchava.



15. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის სასახლე, ლია ბოკუჩავას ფოტო
Telavi. Batoni castle. The King Archil's palace. Photo by Lia Bokuchava.

ქალაქს ყველა ისტორიულმა ეტაპმა თავისი გარკვეული კვალი დააჩნია. ცხადია XVI-XVIII საუკუნეებში ოსმანური იმპერიის დაპყრობითმა ომებმა მართალია სხვადასხვა ძალითა და დოზირებით, მაგრამ მაინც გარკვეული გავლენა მოახდინა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ცხოვრებასა და კულტურაზე (სამცხე, ჯავახეთი, ქართლი, აფხაზეთი, მათ შორის კახეთიც). აღსანისნავია, რომ ისლამური გავლენა ძირითადად მაღალი საზოგადოების, სამეფო კარისა და თავად-აზნაურთა შორის ვრცელდებოდა. დანარჩენი, ძირითადი მოსახლეობა ადგილობრივი რელიგიური და კულტურული ტრადიციების მიმდევარი რჩებოდა. კახეთში, აღმოსავლური გავლენა ძირითადად ამ დროის სასახლეებსა და აბანოებში იჩენს თავს, თუმცა ასევე ვლინდება ნებისმიერი სახის ხუროთმოძღვრებაში, მათ შორის საეკლესიოშიაც, ცალკეული არქიტექტურული ფორმებისა თუ ელემენტების გადაწყვეტაში (შეისრული თაღი, დეკორატიული რომბრები, მოჭიქული ჩანართები, აგურის მასიურად გამოყენება და სხვა..)[89].


[89] ვ. ბერიძე, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბ., 2014, გვ. 453

აბანოები

თელავში დღემდე აღმოსავლური ტიპის ორი აბანოა შემორჩენილი: არჩილ მეფის (ერეკლე II-ის) აბანო ბატინის ციხის ტერიტორიაზე და ე.წ. თეიმურაზის აბანო.

არჩილ მეფის (ერეკლე II-ის) აბანო


არჩილ მეფის აბანო, რომელიც ასევე ცნობილია ერეკლე II-ის აბანოს სახელით ქალაქის ქვედა ნაწილში, პლატოზე, სწორ, გაშლილ ადგილზე გაშენებული კახეთის მეფეთა რეზიდენციის ე.წ „ბატონის ციხის“ ტერიტორიაზეა განთავსებული. რიყის ქვით ამოყვანილი გრანდიოზული გალავნით გარშემორტყმული ციხის ვრცელ სივრცეში სხვადასხვა დროის ხალვათად განთავსებულ ნაგებობათა შორის მცირე ზომის, საგანგებო თხრილში მოქცეული აბანო, ციხის მონუმენტური გალავნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია მოკრძალებულად მოყუჟული.



N1. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის (ერეკლე II-ის) აბანო, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, არქიტექტორ-რესტავრატორ ეთერ მახათელაშვილის ჩანახატი.
Telavi. Batoni Castle. King Archil's (Erekle II) bath. View from the northeast. Sketch by Eter Makhatelashvili, the architect-restorer .



1. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის აბანო, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Batoni castle. The King Archil's bath. View from the northeast. Photo by Lia Bokuchava.



A1. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის (ერეკლე II-ის) აბანო, გეგმა, ჭრილი, ფასადი, არქიტექტორი ს. გოგოლაძე, 1936 წ. თელავის ისტორიული მუზეუმის არქივი, საქაღალდე #333.

Telavi. Batoni Castle. King Archil's (Erekle II) bath. Plan. Section, façade. Architect, S. Gogoladze, 1936. Archive of the Telavi History Museum, file #333.

ორ კომპარტიმენტიანი პირადი მოხმარების აბანო მარტივი გეგმარებისაა და შედგება გასახდელისა და საბანაო დარბაზისგან. გასახდელისგან ამჟამად გეგმა და ბუხრიანი დასავლეთი კედელია შემორჩენილი თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივში დაცულია არქიტექტორ ს.გოგოლაძის მიერ 1936 წელს შესრულებული აბანოს ნახაზები.

აბანო ნაგებია კვადრატული, ე .წ. „ქართული“ აგურითა და რიყის ქვით კირის ხსნარზე. გარედან კედლები ძირითადად რიყის ქვითაა ამოყვანილი კონსტრუქციულ ნაწილებში კი, აგურია გამოყენებული. ინტერიერში ძირითადი მასალა აგურია, რიყის ქვა კედლებში ფრაგმენტულად არის მოცემული.



3. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის აბანო, ინტერიერი, გუმბათი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Batoni castle. The King Archil's bath. Interior. Dome . Photo by Lia Bokuchava.

მთავარი, საბანაო ოთახის კვადრატული სივრცე სფერული გუმბათით არის გადახურული. კედლებზე შეისრული თაღებია გადაყვანილი. სამხრეთ კედელთან ღრმა აუზია მოცემული. აღმოსავლეთ კედელში კი, საქვაბე-საცეცხლე და წყლის რეზერვუარია მოწყობილი. წყალი ცისტერნაში მის ქვეშ განთავსებული ქვანახშირის ღუმელის მეშვეობით ცხელდებოდა. თაღოვანი სარკმლის მეშვეობით ორთქლი საბანაო ოთახში ვრცელდებოდა, ხოლო კედელში გაყვანილი მილები კედლებს ათბობდა. ოთახის იატაკი, მის ქვეშ მოწყობილი კალორიფერების სისტემის მეშვეობით თბებოდა. საქვაბედან ცხელი წყალი ღრმა ღარით ჩაედინებოდა აუზში. ცივი წყალი პირდაპირ წყაროდან იყო გამოყვანილი. იმისათვის, რომ საბანაო ოთახში სითბო შეენარჩუნებინათ, გარედან გუმბათს ლამს აყრიდნენ.



4. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის აბანო, ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთით, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Batoni castle. The King Archil's bath. Interior. View to the east. Photo by Lia Bokuchava.



5. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის აბანო, აღმოსავლეთი ფასადი, საცეცხლე, ლია ბოკუჩავას ფოტო
Telavi. Batoni castle. The King Archil's bath. East facade. Furnace room. Photo by Lia Bokuchava.



6. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის აბანო, ინტერიერი, აუზი, ლია ბოკუჩავას ფოტო.

Telavi. Batoni castle. The King Archil's bath. Interior. Pool. View from the northeast. Photo by Lia Bokuchava.



7. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის აბანო, გასახდელის სამხრეთი კედელი, გრაფიკული ნახატი, „სგრაფიტო“, ლია ბოკუჩავას ფოტო.

Telavi. Batoni castle. The King Archil's bath. South wall of the locker room. Graphic drawing, "sgraffito". Photo by Lia Bokuchava.




8. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის აბანო, გასახდელის დასავლეთი კედელი, გრაფიკული ნახატი, „სგრაფიტო“, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Batoni castle. The King Archil's bath. West wall of the locker room. Graphic drawing, "sgraffito". Photo by Lia Bokuchava.

გასახდელისა და საბანაო ოთახის ზიარ კედელსა და გასახდელის დასავლეთ ბუხრიან კედელზე შემორჩენილია გრაფიკული ნახატი, შესრულებული „სგრაფიტოს“ ტექნიკით. სავარაუდოდ მოხატული იქნებოდა საბანაო ოთახიც. თუმცა ამჟამად ნალესობა ჩამოცვენილია და ეს მოსაზრების დონეზე რჩება.


გარედან შენობის კომპოზიცია შედგება მარტივი გეომეტრიული ფორმების - კუბური მოცულობისა და სფერული, კონუსური გუმბათის - ურთიერთკავშირისგან. ფასადებიდან მხოლოდ საბანაო ოთახის აღმოსავლეთი კედელია შემორჩენილი, რომლის ძირში საცეცხლეს ნალისებრი მოყვანილობის თაღია გადაყვანილი. დეკორს მოკლებული, მინიმალისტური გაფორმების ფასადი სადაა. მკაცრ, დაუნაწევრებელ მოცულობას კონუსური ფორმის გუმბათი თავისი შეწვერილი ბოლოთი, მეტ სიმსუბუქეს მატებს.



A2. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის (ერეკლე II-ის) აბანო, გეგმა, პროექტის ხელმძღვანელი მიხეილ გელაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი მათე სულხანიშვილი, 2022 წ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
Telavi. Batoni Castle. King Archil's (Erekle II) bath. Plan. Project manager Mikheil Gelashvili. Architect-restorer Mathe Sulkhanishvili, 2022. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia.



A3. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის (ერეკლე II-ის) აბანო, ჭრილი აღმოსავლეთით, პროექტის ხელმძღვანელი მიხეილ გელაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი მათე სულხანიშვილი, 2022 წ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი
Telavi. Batoni Castle. King Archil's (Erekle II) bath. Section, view to the east. Project manager Mikheil Gelashvili. Architect-restorer Mathe Sulkhanishvili, 2022. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia.



A4. თელავი, ბატონის ციხე, არჩილ მეფის (ერეკლე II-ის) აბანო, ჩრდილოეთი ფასადი, აზომეს არქიტექტორ-რესტავრატორებმა: ზ.მელვინეთუხუცესმა, მ.მაღრაძემ, დ.დუმბაძემ, რ.გურამიშვილმა, გამოხაზა - არქიტექტორ-რესტავრატორმა რ.გურამიშვილმა, 1982 წ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
Telavi. Batoni Castle. King Archil's (Erekle II) bath. Plan. Section, north façade. Measured by the architect-restorers Z. Megvinetukhutsesi, M. Magradze, D. Dumbadze, and R. Guramishvili. Drawing by the architect-restorer R. Guramishvili, 1982. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia.

სრულიად განსხვავებულია ინტერიერი. საბანაო ოთახის კომპაქტური, შეკრული სივრცე, მკვეთრად შეისრული თაღების რელიეფური ნახატით გაცოცხლებული კედლები, კუთხეებში ასევე აგურით ამოყვანილი აფრების შეისრული ფორმა და ასიმეტრიულად გაჭრილი ღიობები — ინტერიერს მეტ მოხდენილობას და ცხოველხატულობას სძენს. ცალკეული არქიტექტურული ელემენტების რელიეფურობა შუქ-ჩრდილის ბაროკალურ თამაშს ქმნის, რაც ასევე ამრავალფეროვნებს ამ მცირე მოცულობის სივრცით პლასტიკას. თუ გავიზიარეთ მოსაზრება ამ ოთახის კედლების მოხატვის თაობაზე, ოთახის ინტერიერი ზომიერად მორთული იქნებოდა. კედლების გაფორმების დინამიზმს და განათების ბაროკალურობას ამშვიდებს და ერთიანობაში მოყავს კომპაქტურ, მძლავრ სივრცეს.

არჩილ მეფის აბანო XVII – XVIII საუკუნეების ამ ტიპის აბანოების სტრუქტურული მსგავსების მიუხედავად გარკვეული ინდივიდუალობით ხასიათდება. პირადი აბანოების გათბობის სისტემა ყველა, ჩვენამდე მოღწეულ აბანოებში ერთნაირია. რაც შეეხება გეგმას, მისი სტრუქტურის ერთიანობის მიუხედავად, სხვადასხვა ნიმუშში გეგმის კომპოზიცია მცირე ვარიაციებით არის წარმოდგენილი..

არჩილის აბანო გაფორმების და რიგ შემთხვევაში ზომების თვალსაზრისითაც ჩამოუვარდება თანადროულ ანალოგიური დატვირთვის მქონე ნიმუშებს. მაგალითათ თავად ამილახვრების აბანოს ქვემო ჭალაში (XVII ს.), რომელიც უფრო მასშტაბურია, წარმოადგენს მრავალკუთხა მოხაზულობის, შედარებით რთული გეგმარების მქონე შენობას. ინტერიერის

გაფორმებაში გარდა შეისრული თაღებისა სტალაქტიდებიც არის გამოყენებული. ამილახვრების აბანოს გამორჩეულობას თავისი ახსნაც აქვს. ირანული ორიენტაციის თავად ანდუყაფარ ამილახვარს, რომელსაც აუგია ეს აბანო, ცოლად ჰყავდა შახ აბასის შვილიშვილის, ისახან ყორჩიბაშის ასული ზუბეიდა ბეგუმ. სწორედ ასეთმა სიახლოვემ ირანის სამეფო კართან განაპირობა ამ აბანოს მეტი იმპოზანტურობა და მასშტაბურობა.

ინდივიდუალურ, ფეოდალურ აბანოთა რიცხვს მიეკუთვნება ამავე დროის (XVII ს.) ნიჩბისის და მძოვრეთის აბანოები საციციანოში.[90] ანალოგიური გათბობის სისტემით, ორგუმბათიანი, შეისრულთაღოვანი ინტერიერით, ეს აბანოებიც შედარებით მეტი კომპარტიმენტის შემცველია და უფრო რთული კონფიგურაციის გეგმით ხასიათდება.

მიუხედავად იმისა, რომ მეფე არჩილის აბანო სამეფო ოჯახის აბანო იყო, იგი ფეოდალების ამავე ტიპის აბანოებთან შედარებით უფრო მოკრძალებულია. აქ კახური არქიტექტურის უაღრესად თავშეკავებული, სადა ხასიათის გარდა თვით მეფე არჩილის პიროვნული, შინაგანი განცდები და განწყობა იგრძნობა. მის მიერ შეკვეთილ აბანოს არქიტექტურაში ისტორიული ვითარების გამო გამაჰმადიანებული პოეტი მეფის შინაგანი, სულიერი განცდა, ასკეტიზმი და ფარული ქრისტიანული სულისკვეთება ისახება. გამაჰმადიანება, დროის აუცილებლობა იყო და ეს განცდა ტანჯავდა პოეტ მეფეს, რომლის პოეზიაც უხვად შეიცავს ცოდვადამძიმებული ადამიანის ლოცვა-ვედრებას:

“ქრისტე შენ თუ არ მოგხედო სხვაღა ღმერთი სადღა ვიცი?
აღმოხედე თუნ ცად კამარად,შენც მანდა ხარ და ეგ იცი,
ჯოჯოხეთსაც ახლოვე ხარ, თუ სამ იქ ჩავიცი
დავემკვიდრო ზღვის დასასრულს, იქაც მწვდება ხელი მტკიცე“[91]

არჩილ მეფის აბანოს მხატვრულ-არქიტექტურულ გადაწყვეტაში აღმოსავლური გეგმარებითი სტრუქტურა, ასევე ინტერიერის აღმოსავლურ ყაიდაზე შეისრული თაღებით დამუშავება, და პარალელურად ადგილობრივი ნალისებრი და ნახევარწრიული თაღების ერთდროულად გამოყენება, კახური სისადავე ფასადების გადაწყვეტასა და საბანაო ოთახის ინტერიერის აღმოსავლური ხასიათი - ორი მხატვრულ-ესთეტიკური მოვლენის (ქართული და აღმოსავლური) თანაარსებობაზე მეტყველებს. ასეთივე გაორება შეიგრძნობა თავად მისი დამკვეთის, მეფე არჩილის სულიერ განცდაში[92].

---

[90] პ.ზაქარაია, გვიანი საუკუუნეების აბანოები საციციანოში, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, წელიწდეული IV-V, თბ.,1999-2001, გვ. 44-52

[91] არჩილ II, სიტყვა სანათლისღებო, ს.გვარამაძე, არჩილ მეფის შემოქმედების მხატვრული სამყარო, სადოქტორო ნაშრომი, თბ., 2014, გვ. 150-151

[92] 1936 წელს მეფე არჩილის აბანო აიზომა (არქ. ს. გოგოლაძე), შესრულდა ხის მაკეტი, რომელიც ამჟამად დაკარგულია. 1970-82წწ. ძეგლზე ჩატარდა წინასწარი სამუშაოები (ავტ. არქირექტორ-რესტავრატორები ი.ვარსიმაშვილი, რ.გურამიშვილი). 1982წ. აბანო კვლავ აიზომი და მომზადდა რესტავრაციის პროექტი (ავტ. არქირექტორ-რესტავრატორები რ. გურამიშვილი, ზ. მეღვინეთუხუცესი). საბუთები ინახება ინსტიტუტ`საქრესტავრაციის” არქივში. ფოტო მასალა ინახება იქვე ## 21942-71, 10019-21. 1980-იან წლებშივე შეკეთდა აბანოს იატაკი, შიდა და გარე კედლები, გუმბათი და მოხდა აბანოს წინა მონაკვეთის კონსერვაცია; 2022 წელს კვლავ განახლდა სამუშაოები აბანოზე. ამჟამად მიმდინარეობს რეაბილიტაციის პროექტის დამუშავება. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი მიხეილ გელაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი მ.სულხანიშვილი.

თეიმურაზის აბანო (ძველი აბანო)



1. თელავი, თეიმურაზის აბანო, ხედი ზემოდან, ირინე ელიზბარაშვილის ფოტო
Telavi. Teimurazi Bath. View from above, Photo by Irine Elizbarashvili.

თელავის მეორე მნიშვნელოვანი აბანო სხვადასხვა სახელით არის ცნობილი: ლიტერატურაში იგი **„თეიმურაზის“** და რიგ შემთხვევაში „როსტომის “ აბანოდ არის მოხსენიებული[93]. თელაველები მას „ძველ აბანოს“ უწოდებენ. ვფიქრობ, ასეთი შინაურული სახელწოდება ამ აბანოს ხანგრძლივ ფუნქციონირებასთან არის დაკავშირებული. „ძველი აბანო“, ქალაქის საზოგადოებრივი აბანო იყო, რომელმაც საკმაოდ დიდი ცხოვრების გზა განვლო და მოქმედებდა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 80-იან წლებამდე. მისმა არქიტექტურულმა სახემ ამ დროის მანძილზე გარკვეული ცვლილებაც განიცადა. სადღეისოდ მიტოვებული, დანგრეულ-გადაკეთებული აბანო რეაბილიტაციის მოლოდინშია.

შენობა მდებარეობს აბანოსა და გვირაბის ქუჩების შეერთების ადგილას. ამ უბანში მოქმედი ე.წ. “აბანოს წყაროს“ სიახლოვეს[94]. ცხადია ასეთმა ადგილმდებარეობამ, განაპირობა წყლის უწყვეტი მარაგის არსებობა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მის ხანგრძლივ ფუნქციონირებას (XX საუკუნის 80 წლებამდე).

---

[93] შენობის სახელწოდება ხშირ შემთხვევაში მფლობელის სახელს უკავშირდებოდა.იხ. ლ.ანდრონიკაშვილი, ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, თელავი, ძველი აბანოს რეაბილიტაციის პროექტისათვის, თბ.2002, გვ.3

[94] თელავში ძალიან ბევრი ბუნებრივი წყარო არის. მათ „ქალაქის სხვადასხვა ისტორიულ უბნებში ვხვდებით (ბატონის წყარო, აბანოს წყარო, დაბახნების წყარო, კაკლის წყარო, მაწანწრის წყარო, ყრუ ხევის წყარო, უკვდავების წყარო, იორდანეს წყარო და სხვ.)“ იხ. ლ.ანდრონიკაშვილი, ხსენებული ნაშრომი, გვ.3




2. თელავი, თეიმურაზის აბანო, ჩრდილოეთი ფასადი, ლია ბოკუჩავას ფოტო
Telavi. Teimurazi Bath. Northern façade. Photo by Lia Bokuchava.


ქალაქის ცენტრალურ მონაკვეთში, მჭიდროდ განაშენიანებულ ერთ-ერთი მთის ფერდის ძირში აგებული აბანოს საკმაოდ მონუმენტური, მოცულობრივი, განში განვითარებული სხეული ამ ფერდის დინამიური, ცოცხალი განაშენიანების დამასრულებელ , შემკრავ წერტილად აღიქმება.



3. თელავი, თეიმურაზის აბანო, ჩრდილოეთის და დასავლეთის მინაშენი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Teimurazi Bath. Northern façade and the annex from the West. Photo by Lia Bokuchava.



A1. თელავი, თეიმურაზის აბანო, ჩრდილოეთი ფასადი და გრძივი ჭრილი, არქიტექტორი შალვა დავითაშვილი, 1939-1940 წწ. თელავის ისტორიული მუზეუმის არქივი, საქაღალდე #335.
Telavi. Teimurazi Bath. Northern façade and the longitudinal section. Architect-restorer Shalva Davitashvili, the 1939-1940s. Archive of the Telavi History Museum, file #335.



A2. თელავი, თეიმურაზის აბანო, ჩრდილოეთი ფასადი, არქიტექტორ-რესტავრატორ გიგო გაგნიძის ნახაზი, 1980 წ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
Telavi. Teimurazi Bath. Northern façade and the longitudinal section. Drawing by architect-restorer Gigo Gagnidze, 1980. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia.

ამჟამად, გარედან აბანოს აღმოსავლური იერი არ იკითხება, ვინაიდან იგი ჩამალულია გვიან მინაშენებში. ჩვენამდე მოღწეული ჩრდილოეთი ფასადი 1930-40 წლებში სხვაგვარად გამოიყურებოდა. თელავის მუზეუმის არქივში ჩვენს მიერ აღმოჩენილი ალექსანდრე მამულაშვილის ექსპედიციის დროინდელი ნახაზები შესრულებული ინჟინერ-არქიტექტორ შალვა დავითაშვილის მიერ იძლევა წარმოდგენას ამ ფასადის იმდროინდელ სახეზე. ფასადი დანაწევრებული იყო რამოდენიმე შვერილი მოცულობით.



4. თელავი, თეიმურაზის აბანო, დასავლეთი მინაშენი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Teimurazi Bath. Annex from the west. Photo by Lia Bokuchava.

XX საუკუნის 50-იან წლებში მას დაემატა განიერი, ეკლარის ქვით მოპირკეთებული მოცულობა-ვესტიბიული, რომლის ჩრდილოეთი, ქალაქისკენ მიმართული ფასადი ორ სიბრტყეშია განვითარებული და ნახევარწრიული თაღებით დამუშავებული, რაც შენობას სრულიად განსხვავებულ, კლასიკურ იერს სძენს. ჩრდილოეთის ფასადის ამ კომპოზიციამ, მართალია შელახული სახით, მაგრამ მაინც დღემდე მოაღწია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აბანოს შენობის დასავლეთი ფასადი ამავე პერიოდში დაიფარა გათბობისა და წყლის სისტემის მარეგულირებელი ნაგებობით, აღმოსავლეთი ფასადი შეილესა, ხოლო სამრეთი უშუალოდ მთის ფერდს ებჯინება - გამოდის, რომ ბრტყელი, კვადრატული, ე.წ. „ქართული“ აგურითა და რიყის ქვით ნაგები აბანოს თავდაპირველი, აღმოსავლური იერის მქონე შენობა, მთლიანად ჩაძირულია გვიან შემოშენებებში. გარედან, მის აღმოსავლურ წარმომავლობაზე მხოლოდ ძირითადი მოცულობიდან ოდნავ ამოზიდული გუმბათები მეტყველებს.




5. თელავი, თეიმურაზის აბანო, გუმბათები გარედან, ნინო კარძახიას ფოტო.
Telavi. Teimurazi Bath. The domes from the outside. Photo by Nino Kordzakhia.




6. თელავი, თეიმურაზის აბანო, დიდი დარბაზის გუმბათი გარედან, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Teimurazi Bath. The dome of the grand hall from the outside. Photo by Lia Bokuchava.

მათი დანახვა მხოლოდ მთის ფერდიდან დაშვებისას, თანაც მომლოდინე, გაცნობიერებული ადამიანის თვალისთვის და ისიც, განსაკუთრებული დაკვირვების შედეგად არის შესაძლებელი[95].




N1. თელავი, თეიმურაზის აბანო, ქვედა სართულის გეგმა, პროექტის ხელმძღვანელი მიხეილ გელაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორები გიორგი კოტეტიშვილი, მათე სულხანიშვილი, განახლების I ეტაპი, 1939-1940-იანი წლები, გამოსაცემად მოამზადეს არქიტექტორ-რესტავრატორებმა ნინო კორძახიამ და ერეკლე ნაროუშვილმა.
Telavi. Teimurazi bath. The plan of the lower floor. Project manager Mikheil Gelashvili. The architect-restorers: Giorgi Kotetishvili and Mathe Sulkhanishvili, the first stage of the renovation, the 1939-1940s. Prepared for publication by the architect-restorers, Nino Kordzakhia and Erekle Naroushvili.

[95] აბანოს სახეცვლის ეტაპობრიობა მოცემულია სამუშაო ჯგუფის წევრის , არქიტექორ-რესტავრატორ ნინო კარძახიას მიერ გამოსაცემად მომზადებულ გეგმებზე.



N2. თელავი, თეიმურაზის აბანო, გეგმა, პროექტის ხელმძღვანელი მიხეილ გელაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორები გიორგი კოტეტიშვილი, მათე სულხანიშვილი, განახლების II ეტაპი,1939-1940-იანი წლები, გამოსაცემად მოამზადეს არქიტექტორ-რესტავრატორებმა ნინო კორძახიამ და ერეკლე ნაროუშვილმა. Telavi. Teimurazi bath. The plan. Project manager Mikheil Gelashvili. The architect-restorers: Giorgi Kotetishvili and Mathe Sulkhanishvili, the second stage of the renovation, the 1939-1940s. Prepared for publication by the architect-restorers, Nino Kordzakhia and Erekle Naroushvili.



N3. თელავი, თეიმურაზის აბანო, გეგმა, პროექტის ხელმძღვანელი მიხეილ გელაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორები გიორგი კოტეტიშვილი, მათე სულხანიშვილი, დღევანდელი მდგომარეობა. გამოსაცემად მოამზადეს არქიექტორ-რესტავრატორებმა ნინო კორძახიამ და ერეკლე ნაროუშვილმა Telavi. Teimurazi bath. The plan. Project manager Mikheil Gelashvili. The architect-restorers: Giorgi Kotetishvili and Mathe Sulkhanishvili, current state. Prepared for publication by the architect-restorers, Nino Kordzakhia and Erekle Naroushvili.



7. თელავი, თეიმურაზის აბანო, ინტერიერი, კერამიკის ფილების გვიანი მოპირკეთება, ლია ბოკუჩავას ფოტო.

Telavi. Teimurazi Bath. Interior. The late ceramic works. Photo by Lia Bokuchava.



8. თელავი, თეიმურაზის აბანო, ინტერიერი, კერამიკის ფილების გვიანი მოპირკეთება, ნინო კორძახიას ფოტო.

Telavi. Teimurazi Bath. Interior. The late ceramic works. Photo by Nino Kordzakhia.



9. თელავი, თეიმურაზის აბანო, ინტერიერი, ცხელი წყლის დარბაზი, ხედი სამხრეთით, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Teimurazi Bath. Interior. The small bathhouse with heated water. Photo by Lia Bokuchava.




10. თელავი, თეიმურაზის აბანო, ინტერიერი, დიდი დარბაზი, ხედი სამხრთით ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Teimurazi Bath. Interior. Big bathhouse. View to the south. Photo by Lia Bokuchava.




11. თელავი, თეიმურაზის აბანო, ინტერიერი, მცირე დარბაზი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Teimurazi Bath. Interior. The small bathhouse hhouse. Photo by Lia Bokuchava.

ინტერიერში მოხვედრისას, მიუხედავად მნიშვნელოვანი გადაკეთებებისა - ძირითადი ადრეული გეგმისთვის სათავსების დამატების, კედლების რამდენიმეჯერ შელესვა-შეღებვისა და ზოგი სათავსოს სხვადასხვა მასალის ფილებით მოპირკეთებისა, ძველი აბანოს აღმოსავლური გეგმარებითი სტრუქტურა და ზოგადი მხატვრული გადაწყვეტა მკაფიოდ იკითხება.

კედლების მართკუთხედში ჩაწერილი ექვს კომპარტიმენტიანი კომპოზიცია შედგება სამი საბანაო დარბაზისგან, რომელთაგან კიდურა, აღმოსავლეთის ყველაზე დიდია და წარმოადგენს ცივი წყლის საბანაო დარბაზს. მას დასავლეთი მიმართულებით მიუყვება საშუალო ზომის შემდეგ, კი მცირე ზომის ცხელი წყლის საბანაო დარბაზები კალორიფერების სისტემით იატაკის ქვეშ. დარბაზებს შორის წაგრძელებული სათავსებია. საბანაო დარბაზის ჩრდილო-დასავლეთით მოთავსებულია კვადრატული გეგმის აბაზანიანი ოთახი, მისგან სამხრეთით, კი საქვაბე, საიდანაც ხდებოდა აბანოს გათბობა და ცხელი წყლით მომარაგება.



5. თელავი, თეიმურაზის აბანო (ძველი აბანო), გეგმა,1939-1940 წწ., არქიტექტორი შალვა დავითაშვილი, გამოსაცემად მოამზადა არქიტექტორ-რესტავრატორმა ნინო კორძახიამ.
Telavi. Teimurazi bath (the old bath). Plan, years 1939-1940. The architect, Shalva davitashvili. Prepared for publication by the architect-restorers, Nino Kordzakhia



3. თელავი, თეიმურაზის აბანო, გეგმა, პროექტის ხელმძღვანელი მიხეილ გელაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორები გიორგი კოტეტიშვილი, მათე სულხანიშვილი, განახლების III ეტაპი, 1980-იანი წლები, გამოსაცემად მოამზადეს არქიექტორ-რესტავრატორებმა ნინო კორძახიამ და ერეკლე ნაროუშვილმა.
Telavi. Teimurazi bath. The plan. Project manager Mikheil Gelashvili. The architect-restorers: Giorgi Kotetishvili and Mathe Sulkhanishvili, the third stage of the renovation, the 1939-1940s. Prepared for publication by the architect-restorers, Nino Kordzakhia and Erekle Naroushvili.



12. თელავი, თეიმურაზის აბანო, ინტერიერი, საბანაო აუზი, ლია ბოკუჩავას ფოტო.


Telavi. Teimurazi Bath. Interior. Swimming pool. Photo by Lia Bokuchava.

ზომებიდან გამომდინარე, დარბაზების გეგმის კომპოზიცია ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა იდენტურია კომპოზიციის ზოგადი გადაწყვეტა. სამივე არის ცენტრული, გუმბათით დასრულებული მოცულობა, რომელთა სამრეთ კედელში ღრმა საბანაო აუზია მოწყობილი ჩასასვლელი კიბეებით გვერდებში.



14. თელავი, თეიმურაზის აბანო, ინტერიერი, გუმბათი , ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Teimurazi Bath. Interior. The dome. Photo by Lia Bokuchava.


ყველაზე დიდი, ცივი წყლის დარბაზის გეგმა ჯვრის მოხაზულობისაა. ძირითადი, ვრცელი სივრცე შეისრული გუმბათით არის გადახურული. ცენტრში ღიობით - განათებისა და ვენტილაციისთვის. ოთხივე მხარეს ღრმა სივრცითი უბეებია შექმნილი. თაღები შეისრული ფორმისაა. ასევე შეისრულია აფრები. შელესილ ინტერიერში მკვეთრად შეწვერილი ფორმების სხვადასხვა დონეზე განთავსება მკაფიო გრაფიკულ ნახატს ქმნის. ყურადღების კონცენტრაცია არქიტექტურულ ფორმებსა და მოცულობებზე ხდება. ამ კომპაქტურ სივრცეში ყველა არქიტექტურული ფორმა მკაფიოდ იკითხება.



N7. თელავი, თეიმურაზის აბანო (ძველი აბანო), გეგმა,1939-1940 წწ., არქიტექტორი შალვა დავითაშვილი, გამოსაცემად მოამზადა არქიტექტორ-რესტავრატორმა ნინო კორძახიამ.
Telavi. Teimurazi bath (the old bath). Plan, years 1939-1940. The architect, Shalva davitashvili. Prepared for publication by the architect-restorers, Nino Kordzakhia

შეისრული თაღები, გუმბათით დასრულებული ძირითადი საბანაო მოცულობები, დიდი, ცივი წყლის საბანაო ოთახის ჯვრული გეგმარება - აღმოსავლური აბანოებისთვის დამახასიათებელი გადაწყვეტაა, თუმცა აქაც იგი მოკლებულია იმ განსაკუთრებულ სადღესასწაულო ხასიათს, იმ ბრწყინვალებას, რომლითაც სპარსული აბანოები ხასიათდება. კახურად დინჯი, თავშეკავებული სივრცე, ზედმეტი დეკორის გარეშე და სივრცის ერთიანობით მიღწეული ღირსეული სიმშვიდე.

ჩვენ არ ვიცით რას წარმოადგენდა თეიმურაზის აბანოს ინტერტიერის კედლების თავდაპირველი დეკორატიული გაფორმება. რამოდენიმე ფენა საღებავის ქვეშ დამალულია საშენი მასალაც, რომლის დანახვა მხოლოდ ფრაგმენტულად, რამოდენიმე ადგილას ატკეჩილი ნალესობის ქვეშ არის შესაძლებელი. ალაგ-ალაგ დაცულია გვიანი მოხატულობის ლაჟვარდისფერი საღებავის კვალი. ამიტომ ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის შეფასება, ძიითადად გეგმისა და არქიტექტურული ფორმების მოხაზულობის ანალიზით არის შესაძლებელი.



N6. თელავი, თეიმურაზის აბანო, მცირე დარბაზი,
არქიტექტორ-რესტავრატორ ეთერ მახათელაშვილის ჩანახატი.
Telavi. Teimurazi bath. The small hall. Sketch by Eter Makhatelashvili, the architect-restorer.

აბანოს გეგმის განში განვითარებული კომპოზიცია, ერთ რიგად ჩამწკრივებული ოთახებით, აღმოსავლური საზოგადობრივი აბანოს - ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. მსგავსად რომაული აბანობისა, აქაც დაცულია ოთახების თანმიმდევრობა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით: გასახდელს მიუყვებოდა ცივი წყლის, შემდგომ თბილი და ბოლოს ცხელი წყლის ოთახები. აღმოსავლეთის აბანოებში, ისევე როგორც თეიმურაზის აბანოში, გარდა მთავარი კომპარტიმენტისა გვხვდება მცირე ზომის საბანაო ოთახები, რომელიც გამოყენებული იყო ან დამატებითი განბანვისთვის ან როგორც დამოუკიდებელი, ცალკე საბანაო ოთახი განკუთვნილი განსაკუთრებული პიროვნებისთვის[96].

[96] Дж.Сарменто, З.Каземи,Хаммамы и современный город: пример Исфахана, Иран, международный журнал исследованний наследия #20 (2), 2014, გვ. 138-156



15. თელავი, თეიმურაზის აბანო, ინტერიერი, კედლის ფრაგმენტი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Telavi. Teimurazi Bath. Interior. The fragment of the wall. Photo by Lia Bokuchava.

XVII საუკუნის II ნახევარში აგებული თეიმურაზის აბანო არაერთგზის იყო გადაკეთებული. XX საუკუნის დასაწყისში იგი ორჯერ შეკეთებულა. ამავე საუკუნის 50-იან წლებში მოხდა მისი მნიშვნელოვანი, მასშტაბური განახლება. პირველი ანაზომები გაკეთებული იყო ალ. მამუშალაშვილის დროს 1940-იან წლებში. XX საუკუნის 80-იან წლებში აბანო გაიზომა და გამოიხაზა არქიტექტორ-რესტავრატორ გ.გაგნიძის მიერ .

2022 წელს თეიმურაზის აბანოზე ჩატარდა აზომვითი სამუშაოები (არქიტექტორ-რესტავრატორები: გიორგი კოტეტიშვილი, მათე სულხანიშვილი, ხელმძღვანელი მიხეილ გელაშვილი). მ.გელაშვილის მიერ მომზადდა რესტავრაციის პროექტი.

ალავერდის სამონასტრო აბანო

კახეთის აღმოსავლური აბანოს კიდევ ერთი ნიმუში ***ალავერდის სამონასტრო აბანოა.*** თელავიდან 20 კმ-ის მანძილზე, ალავერდის საკათედრო ტაძართან, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, გალავნის გარეთ, მდინარე ალაზნის მარჯვენა შენაკადის, ზემო ხოდაშნის ნაპირზე მოკრძალებული ზომის, დაბალი, თუმცა განში განვითარებული აბანოა შემორჩენილი.



1. ალავერდი, აბანო, საერთო ხედი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Alaverdi. Bath. General view. Photo by Lia Bokuchava.



2. ალავერდი, აბანო, ხედი სამხრეთიდან, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Alaverdi. Bath. View from the south. Photo by Lia Bokuchava.

გიორგი ჩუბინაშვილი თვლიდა, რომ აბანო, თავდაპირველად მონასტრის ფარგლებში იყო მოქცეული და კომპლექსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.



3. ალავერდი, აბანო, საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Alaverdi. Bath. General view from the northeast. Photo by Lia Bokuchava.


მისივე მოსაზრების თანახმად, აბანო აშენებული იყო XVI- XVII საუკუნეების მიჯნაზე, ვინაიდან იგი მონასტრის გალავანზე ადრეულია და მსგავსებას იჩენს როგორც გრემის XVI საუკუნის აბანოებთან, ასევე XVI- XVII საუკუნეების ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ნაგებობებთან - პალატები, სამრეკლო, ფეიქარ-ხანის სასახლე[97].



4. ალავერდი, აბანო, წყლის რეზერვუარი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Alaverdi. Bath. Water tank. Photo by Lia Bokuchava.

[97] Г.Н.Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ, 526-527

ბრტყელი, კვადრატული, ე.წ. „ქართული“ აგურით ნაგები აბანოს ძირითადი მოცულობის სამხრეთით, წრიული გეგმის, რიყის ქვით ნაგები წყლის რეზერვუარია მოწყობილი, რომლის ცენტრში რიყის ქვისვე ოქტოგონია შემორჩენილი[98].



N1. ალავერდის მონასტერი, აბანო, გეგმა. არქიტექტორ-რესტავრატრი პაატა ნუცუბიძე , გამოსაცემად მოამზადა არქიტექტორ-რესტავრატორმა ნინო კორძახიამ.
Alaverdi Monastery. Bath. Plan. Architect-restorer Paata Nutsubidze. Prepared for publication by the architect-restorer Nino Kordzakhia.

აბანოს გეგმის კომპოზიცია კომპაქტური და რთულია. შედგება სხვადასხვა ზომის რამდენიმე სათავსისგან, რომლებიც ერთმანეთს გასასვლელებით უკავშირდებიან ერთადერთი თაღოვანი შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი საიდანაც მოკლე დერეფნის გავლით მთავარ, ვრცელ, კვადრატული მოხაზულობის დარბაზში ვხვდებით, რომლის სამი მხარე საკმაოდ ღრმა, შეისრულ-კამაროვანი სივრცითი უბეებით სრულდება.

[98] გ. ლაღიაშვილი, ალავერდის სამონასტრო კომპლექსთან 2017-2018 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში,თელავი, 2018; აბანო აზომილია და მზადდება რესტავრაციის პროექტი (არქიტექტორ-რესტავრატორი პაატა ნუცუბიძე)



6. ალავერდი, აბანო, ინტერიერი, მთავარი დარბაზი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Alaverdi. Bath. Interior. Main hall. Photo by Lia Bokuchava.



7. ალავერდი, აბანო, ინტერიერი, მთავარი დარბაზის გუმბათი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Alaverdi. Bath. Interior. The dome of the main hall. Photo by Lia Bokuchava.

დარბაზის ცენტრალური ნაწილი ბრტყელი სფერული გუმბათით არის დასრულებული. ცენტრში წრიული გეგმის შადრევანია მოწყობილი. მთავარი დარბაზის აღმოსავლეთით მდებარე სწორკუთხა სათავსში, მის სამხრეთის კედელზე მიდგმული, ქვიტკირის აბაზანის ნაშთია შემორჩენილი. დანარჩენი სათავსები შედარებით მცირე ფართობისაა, დარბაზის მსგავსად ისინიც ბრტყელი გუმბათებით არის გადახურული. მათ შორის აღსანიშნავია ოქტოგონის მოხაზულობის კომპარტიმენტი, რომელსაც ანალოგიური გადახურვა აქვს. სათავსები ერთმანეთს თაღოვანი გასასვლელით უკავშირდება.




8. ალავერდი, აბანო, ინტერიერი, აბაზანა, ლია ბოკუჩავას ფოტო.

Alaverdi. Bath. Interior. The bathtub. Photo by Lia Bokuchava.

ალავერდის აბანოს გათბობის სისტემა ანალოგიურია ზემოთ განხილულ აბანოებისა. აბანოს სამხრეთ-აღმოსავლეთის სწორკუთხა სათავსში საქვაბე იყო მოწყობილი, ხოლო სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთთან კვადრატული გეგმის საცეცხლე იყო განთავსებული. აქვე, ოთხკუთხა კოშკურა მოცულობაში წყლის გამანაწილებელი იყო მოწყობილი ერთი შემსვლელი და სამი გამსვლელი მილით. გამსვლელი მილებიდან ერთი საქვაბის მიმართულებით, ჰორიზონტალურად არის კედელში გაყვანილი, ორი კი ვერტიკალურად ეშვება ქვემოთ. ვერტიკალური მილები აბაზანებს ცივი წყლით ამარაგებდა.



9. ალავერდი, აბანო, ინტერიერი, თაღოვანი გასასვლელები, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Alaverdi. Bath. Interior. The arched passages. Photo by Lia Bokuchava.



10. ალავერდი, აბანო, ინტერიერი, თაღოვანი გასასვლელები, ლია ბოკუჩავას ფოტო.

Alaverdi. Bath. Interior. The arched passages. Photo by Lia Bokuchava.

ხოლო ჰორიზონტალური მილიდან წყალი საქვაბეში შედიოდა. აღწერილი გამანაწილებლის მოპირდაპირედ, სამხრეთის მხარეს რეზერვუარის მხრიდან დადასტურდა თიხის მილი, რომლის საშუალებით მიეწოდებოდა წყალი ჯერ გამანაწილებელს და შემდეგ აბანოს.[99]



11. ალავერდი, აბანო და წყლის რეზერვუარი, საერთო ხედი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
Alaverdi. Bath. Water tank, general view. Photo by Lia Bokuchava.

აბანოს სამხრეთით განთავსებული წყლის რეზერვუარი ძალიან მასშტაბურია. ძეგლზე ჩატარებული იყო გაწმენდითი სამუშაოები. არქეოლოგიური კვლევის ანგარიშის მიხდვით რეზერვუარი იტევდა 300 კუბურ მეტრ წყალს. მკვლევართა მოსაზრების თანახმად მას გადახურვა ჰქონდა, რომლის საყრდენი ცენტრში განთავსებული ოქტოგონი იყო. მათივე აზრით, რეზერვუარი წინ უსწრებდა აბანოს მშენებლობას და თავდაპირველად ემსახურებოდა ალავერდის მონასტრის წყლით მომარაგებას. აბანო შემდგომ მიუერთდა მას. ანუ, რეზერვუარი წარმოადენდა ღია აუზს, თავისი დეკორატიული კუნძულით (ოქტოგონი), ეს მოსაზრება ეფუძნება არქელოგიური სამუშაოების ჩატარების დროს ოქტოგონის სიღრმეში შავმიწა ნიადაგიანი ფენების დადასტურებას. ამგვარად, გარდა კონსტრუქციული დანიშნულებისა, აუზი-რეზერვუარი დეკორატიულ ფუნქციასაც ითავსებდა[100].

[99] გ. ლაღიაშვილი , დასხ.ნაშრ., გვ. 9-11
[100] გ. ლაღიაშვილი , დასახ.ნაშრ., გვ.10

* * *


ჩვენს მიერ განხილული თელავისა და ალავერდის ისლამური აბანოები ერთ ქრონოლოგიურ მონაკვეთს მოიცავს და წარმოადგენს გვიანფეოდალური ხანის ნიმუშებს (XVI-XVII სს.). ეს ის პერიოდია, როცა კახეთი გამაჰმადიანებულ მეფეთა ხელში იყო. ცხადია ამან გარკვეული გავლენა ქალაქის არქიტექტურაზეც მოახდინა და სწორედ ასეთ დინამიურ, მრავალწახნაგოვან ქალაქს, როგორიც თელავია, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღმოსავლური ესტეტიკის შემცველი მხატვრული მახვილი დაემატა. ამ ქალაქში არსებული აღმოსავლური არქიტექტურის ნიმუშები სწორედაც აქცენტებია და არა ზოგადი გავლენა. აღმოსავლურ სტილში შესრულებული სამეფო სასახლე, თავისი აბანოთი გალავანშემორტყმულ, ვრცელ სივრცეშია განთავსებული და აღიქმება მხოლოდ იმ კონკრეტულ, შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე. ქალაქის მასშტაბით მისი აღმოსავლური იერი არ იკითხება. გარკვეულმა იზოლირებულობამ არ შეცვალა ქალაქის ერთიანი მხატვრული სახე. რაც შეეხება თეიმურაზის აბანოს, რომელიც უფრო გამოკვეთილია, ვინაიდან იგი ქალაქის მჭიდრო განაშენიანებაშია ჩასმული და ერთ-ერთი ბორცვის ფერდის ქვედა ნაწილში, თეიმურაზის სასახლის მძლავრი გალავნის ფონზე იკითხება. აბანოს თავდაპირველი აღმოსავლური იერი თავის დროზე აცოცხლებდა ამ ბორცვის ისედაც დინამიურ, ცოცხალ და მრავალსახოვან განაშენიანებას, დამატებით კიდევ ერთ, აღმოსავლურ ელფერს სძენდა მას. დღეს, სამწუხაროდ ქალაქის ეს მონაკვეთი მნიშვნელოვნად შელახულია. . აღსანიშნავი ისიც, რომ ამ აბანოს ქალაქის ქვედა, ცენტრალურ მონაკვეთთან სიახლოვემ განაპირობა მეოცე საუკუნის შუაწლებში მისი გარე სახის მნიშვნელოვანი ცვლა. როგორც ვიცით, აბანოს აღმოსავლური აგურის ფასადი XX საუკუნის 50-იან წლებში მოაქციეს ეკლარის ქვის პერანგში. შენობის მოცულობიდან ოდნავ ამოზიდული გუმბათებიც მხოლოდ ზემოდან იკითხება და ურბანული თვალსაზრისით აბანომ დაკარგა თავისი აღმოსავლური ხიბლი, თუმცა მისი ახალი ფასადი თავისთავად მნიშვნელოვანი, ეპოქალური არქიტექტურული ნიმუშია[101].

გვიანფეოდალური ხანის კახეთის ხუროთმოძღვრებაში აღმოსავლური გავლენა განსაკუთრებული ინტენსიობით იჩენს თავს კახეთის კიდევ ერთ სატახტო ქალაქის - - გრემის არქიტექტურაში, რომლის ქალაქგეგმარებით სტრუქტურაში, მნიშვნელოვანი ადგილი აბანოებს ეთმობა.

[101] კახეთის აბანოებზე არაერთი პუბლიკაცია არსებობს, რომელთა შორის საგანგებოდ აღსანიშნავია პირველი, მნიშვნელოვანი კვლევა შესრულებული XX ს-ის 30-40-იან წლებში თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის იმდროინდელი დირექტორის ალექსანდრე მამულაშვილის მიერ.ექსპედიციამ, რომელსაც ალ.მამულაშვილი ხელმძღვანელობდა გამოავლინა და შეისწავლა მთელი რიგი აბანოების თელავისა და ყვარლის რაიონში, ჩატარებული იყო ამ ობიექტებზე პირველი გაწმენდითი სამუშაოები, აბანოები აიზომა და მოხდა მათი გრაფიკული ფიქსაცია.

ნაქალაქარი გრემი

მოკლე ისტორიული მიმოხილვა




A1. გრემის მონასტრის ნანგრევი, გრავიურა, დ. ლანსელოს ნახატი ,ქალბატონ კარლა სელენას ფოტოს მიხედვით, XIX ს-ის II ნახევარი, სულხან სალაძის კოლექციიდან, (ილუსტრაცია ქვეყნდება მფლობელის თანხმობით)
Ruins of Gremi Monastery, Gravure of the second half of the XIX century, Drawn by D. lanselot from a photograph taken by Mrs.Carla Serena, (The image is published with the permission from the owner).

„ამ წყალზედ არს გრემი, რომელი ქმნეს ქალაქად ქრონიკონსა
ჩუჲვ (1466) და განდგომილებისა კახთ მეპატრონეთა,
და მყოფობდენ მუნ, აწცა არს შენობა და ეკლესია შეუმუსრავთ,
ოდეს მოაოჰრა შააბაზ, მიერით არს დაბა და არღარა ქალაქი“.
ბატონიშვილი ვახუშტი[102]

ტრაგიკული ბედის მქონე ქალაქ გრემის ხანმოკლე ამობრწყინებამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის კულტურასა და ისტორიაში. გვიანფეოდალურ ხანაში,

[102] ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1963, გვ.546

დამოუკიდებელი კახეთის სამეფოს წარმოქმნა-აღზევების პერიოდში შექმნილი, იგი უმოკლეს დროში, 150 წლის (1466-1616) შემდგომ ყიზილბაშების შემოსევის შედეგად უმოწყალოთ დაინგრა. ამით სამუდამოდ დასრულდა მისი ქალაქური ცხოვრება.




1. ნაქალაქარი გრემი, გ.სოსანიძის ნახატი
The ruins of Gremi. Drawing by G. Sosanidze.



2. ნაქალაქარი გრემი, ხედი ალაზნის ველზე, ლია გოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. View of the Alazani Valley. Photo by Lia Bokuchava.

ქალაქ გრემის შექმნა ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში ხდება. კახეთში ამ დროისთვის სხვა რეგიონებთან შედარებით არსებობა-განვითარებისთვის უკეთესი პირობები იყო. გრემის ტერიტორიაზე ყურადღების შეჩერება განაპირობა ამ ადგილის გამორჩეულმა უპირატესობამ. ერთი მხრივ ეს ეხება მოქნილ და მოსახერხებელ ბუნებრივ-კლიმატურ მონაცემებს - კავკასიონის მთების ძირში, მთისა და ბარის

შესაყარზე გაშლილ-განვითარებული ეს მონაკვეთი, იძლეოდა კავკასიონიდან ალაზნის ველისკენ გამომავალი მდინარეების აუზების მეშვეობით კარგად ორგანიზებული საირიგაციო სისტემის ჩამოყალიბების საშუალებას, რამაც ამ ისედაც ბარაქიანი მხარის მეურნეობის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი და რაც მთავარია, ქალაქის დაარსებისა და განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველიც იყო. მეორე მხრივ, უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა ამ მხარის „ხელსაყრელი სიახლოვე მთავარ საქარავნო — სავაჭრო გზასთან, რომელიც ირანისკენ მიემართებოდა. ნიკო ბერძენიშვილის თქმით, „გილიან-შემახა-ასტრახანის „აბრეშუმის გზა“ ძველთაგანვე წარმოადგენდა ასპარეზს კახეთის ფეოდალური მეურნეობისათვის“[103]. კეთილმოწყობილ სავაჭრო გზებით გრემი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყანასთან, მათ შრის ირანის ქალაქებთანაც. ასეთი მრავალმხრივი უპირატესობის მქონე ადგილი ადრეც დასახლებული იყო. ქალაქ გრემის წინამორბედად სოფელი გრემი და გრემისხევი არის მიჩნეული[104]. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, ამ ტერიტორიაზე ძველთაგანვე დასტურდება სამოსახლოს არსებობა [105].



A2. ნაქალაქარი გრემი, გენგეგმა, არქიტექტორი კოტე მელითაური, 1950 წ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
The ruins of Gremi. General plan. Architect Kote Melitauri, 1950. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia.

[103] ნ.ბერძენიშვილი, Очерк из истории равития феодальных отношений в Грузии XIII-XVI вв., თბ., 1965, გვ.27
[104] ლ.ჭილაშვილი, კახეთის ქალაქები, თბ., 1980, გვ.40
[105] ქალაქ გრემის ტერიტორიაზე გაწმენდითი სამუშაოების პროცესში გამოვლენილი .არქეოლოგიური მასალის მიხედვით ამ ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანის დროინდელი ნასახლარის არსებობა დასტურდება. (იხ.ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, საქ მუზეუმის მოამბე, თბ., 1975; ლ.ჭილაშვილი, კახეთის ქალაქები, თბ., 1990)

გვიანფეოდალური ხანის ამ კონკრერტულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში ასეთმა განსაკუთრებულმა ხელსაყრელმა პირობებმა და გამორჩეულმა გარემოებამ ხელი შეუწყო კახეთში ლტოლვილ ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს (ერთიანი საქართველოს მეფე 1446-1466 წწ.), სწორედ აქ შეექმნა კახეთის სამეფო, სადაც მეფობდა გიორგი I-ის სახელით1466-1476 წლებში და საფუძველი ჩაეყარა კახეთის ბაგრატიონთა სამეფო შტოსთვის. ზემოთ ხსენებულმა ფაქტორებმა განაპირობა ისიც, რომ სწორედ გრემში და არა კახეთის ძველ დედაქალაქ თელავში, რომელიც ქალაქისთვის უამრავი ღირსებით ხასიათდებოდა — ახლად შექმნილი კახეთის სამეფოს რეზიდენცია დაფუძნებულიყო და სამეფო ოჯახი დასახლებულიყო.



A3. ნაქალაქარი გრემი, გენგეგმა, არქიტექტორ რესტავრატორი მიხეილ გელაშვილი, 2019 წ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
The ruins of Gremi. General plan. Architect-restorer Mikheil Gelashvili, 2019. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia.

ამჟამად ნაქალაქარი გრემი, ალაზნის ველის საპირისპიროდ, კავკასიონის ერთ-ერთი მთაგრეხილის ძირში, მდინარე ინწოფის გასწვრივ ვრცელ ტერიტორიაზე იყო გაჭიმული. იგი სიგრძეში განვითარებული მრავალუბნიანი ქალაქი იყო.

საქართველოსთვის ურთულეს ისტორიულ ვითარებაში, უმოკლეს პერიოდში შექმნილი ქალაქი, ყალიბდებოდა როგორც ერთიანად დაგეგმილ-ჩამოყალიბებული, თავისებური ურბანული სტრუქტურის მქონე ორგანიზმი თავისი კონკრეტული ფუნქციების მატარებელი უბნებით (სამეფო, სავაჭრო, რელიგიური), თავდაცვითი სისტემით, არაჩვეულბრივი, მაღალი მხატვრულ-ესთეტიკური დონის საერო და საკულტო არქიტექტურით. ქალაქში მკაფიოთ იკითხებოდა სოციალური დიფერენციაცია. აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქის სამეფო უბანი იყო გაშენებული დასავლეთი ნაწილი კი, უფრო უტილიტარული დანიშნულების იყო. აქ კონცენტრირებული იყო ქალაქის ძირითადი მოსახლეობა. იგი სავაჭრო-სამეურნეო

ცენტრს წარმოადგენდა. ასევე, გრემის უბნებად დაყოფაში იკვეთება მცხოვრებთა ეროვნული შემადგენლობა და სოციალური დაყოფის ნიშნები, მათი ტერიტორიული გამიჯვნა რელიგიური მრწამსის მიხედვითაც. ქალაქში იყო მუსლიმების, სომხების, კათოლიკების, მოგვების უბნები, მსგავსად შუასაუკუნეების სხვა ქალაქებისა აქაც გამოყოფილი იყო უბნები დიფერენცირებული სპეციალობის მიხედვით: მეთუნეთა, მეხამლეთა (ტყავის ხელოსნები), წისქვილების უბანი და სხვა[106]...



A4. ნაქალაქარი გრემი, მთავარანგელოზის უბანი, ალექსანდრე მამულაშვილის ფოტო, თელავის ისტორიული მუზეუმის არქივი, 1939 წ.
The ruins of Gremi. " Arshangel's district," Photo by Alexander Mamulashvili, 1939, The Telavi History Museum

ქალაქ გრემში ცხრა უბანია დადასტურებული რომელთაგან თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბით ოთხი ძირითადი უბანი იკვეთება: სავაჭრო, მთავარანგელოზთა ეკლესიის, სამების და სამეფო[107]. მათ შორის ყველაზე ადრეული ე.წ. **„მთავარანგელოზის" უბანია.** XVI საუკუნეში, ლევან მეფის დროს (1520—1574), ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა გააქტიურების გამო[108], უსაფრთხოების მიზნით, სამეფო რეზიდენცია მოწყობილი იყო ქალაქის ცენტრალურ მონაკვეთში მდინარის პირას,

[106] ლ.ჭილაშვილი, დასახ.ნაშრ., გვ. 43-44

[107] ლ.ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93-99; პ.ზაქარაია, ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, თბ,.1975, გვ. 4

[108] გ.ჭანიშვილი, გრემის ნაქალაქარი, ისტორიულ-არქიტექტურული მიმოხილვა და რეკომენდაციები კომპლექსის რეაბილიტაციისთვის, თბ., 2009, გვ. 3

ხელოვნურად შექმნილ, გალავნით გარშემორტყმულ მაღალ ბორცვზე. ანსამბლი, რომელიც შედგება მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის სახელზე აგებულ ეკლესიასა და ლევან მეფის სასახლე-კომპლექსისგან, ავსებს და აგვირგვინებს ამ ბორცვის მცირე ბაქანს. ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი, კომპოზიციურად გაერთიანებული ეს ორი ნაგებობა ბორცვთან ერთად ქმნის განუმეორებელ სილუეტს რომელიც დღესაც, ქალაქ გრემის (ამჟამად ნაქალაქარის) სიმბოლოდ აღიქმება.




3. ნაქალაქარი გრემი, მთავარანგელოზის კომპლექსი, შალვა ლეჟავას ფოტო.
The ruins of Gremi. The Mtavarangelozi complex. Photo by Shalva Lezhava.

თავისი ადგილმდებარეობით, კომპაქტური გეგმარებითა და ნაგებობათა შემადგენლობით, მთავარანგელოზთა ანსამბლი გრემის მთავარი პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრი იყო. არქეოლოგიური მონაცემების თანახმად აქ, ამ უმცირეს ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებიც იყო დადასტურებული[109]. აქედან გამომდინარე იგი ქალაქის მნიშვნელოვან რელიგიურ, სამეურნეო და თავდაცვით ცენტრს წარმოადგენდა[110].

XVI საუკუნეში, კახეთის სამეფოს მზარდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, გაზრდილ ადმინისტრაციულ სტრუქტურას, არსებული რეზიდენცია ვეღარ აკმაყოფილებდა. ამიტომაც, ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, ახალი, ე.წ. **„სამეფო უბანი“** შეიქმნა.

[109] ქალაქ გრემის ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ 1939-1940 წწ. დაიწყო და გაგრძელდა ამავე საუკუნის 60-იან წლებში
[110] ლ.ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 74-75



4. ნაქალაქარი გრემი, მთავარანგელოზის ეკლესია, ინტერიერი, ლია ბოკუჩავას ფოტო.

The ruins of Gremi. The Mtavarangelozi Church. Interior. Photo by Lia Bokuchava.



5. ნაქალაქარი გრემი, მთავარანგელოზის ეკლესია, ინტერიერი, კედლის მხატვრობის ფრაგმენტი, ლია ბოკუჩავას ფოტო.

The ruins of Gremi. The Mtavarangelozi Church. Interior. The fragment of the wall painting. Photo by Lia Bokuchava.

ეს მეფე-დიდებულთა დასახლება მდინარეების ბოლიას მარჯვენა და ინწორის მარცხენა ნაპირზე, გაშლილ, ვრცელ ადგილზე იყო განვითარებული. მკაფიოდ დაგეგმილ-გააზრებული ამ უბნის კომპოზიცია შედგებოდა სასახლეების, ეკლესიის, საცხოვრებელი, სამეურნეო, გასართობ-სადღესასწაულო ნაგებობების (შადრევნიანი პავილიონი, რვაწახნაგა ნაგებობა) და აბანოსგან. მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის უბანი მთლიანად დანგრეულია და მისი ნაგებობების ნაშთი მხოლოდ გეგმის დონეზე იკითხება, ისიც ფრაგმენტულად, განაშენიანების ამ ფრაგმენტებშიც შეიგრძნობა გარდა მკვეთრი ფუნქციური განსხვავებისა, მშენებლობის მაღალი ხარისხი. ყველა ნაგებობა ამაღლებულ ცოკოლზე იყო დაფუძნებული, სამშენებლო მასალად კი, უფრო მსხვილი ქვა იყო გამოყენებული.



6. ნაქალაქარი გრემი, სამეფო უბანი, ფრაგმენტი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The royal quarter. The fragment. Photo by Lia Bokuchava.

ქალაქის დასავლეთ მონაკვეთში, მდინარე ინწობის მარჯვენა ნაპირზე, ყველაზე ცოცხალი, ქმედითი, მრავალფეროვანი, ე.წ. **"სავაჭრო" უბანი** იყო განთავსებული. მსგავსად შუასაუკუნეების სხვა ქალაქებისა, გრემშიაც იგი ქალაქის ცენტრს, მის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. აქ მოსახლეობაც ჭრელი იყო. გარდა სხვადასხვა სახის ვაჭრების, მსახურებისა და ხელოსნების, აქ მრავალი ჩამოსული სტუმარი იყრიდა თავს. უბნის არქიტექტურაც ფუნქციურად მრავალსახოვანი იყო. ქარვასლები, სავაჭრო რიგები, ბაზარი, ეკლესიები და რასაკვირველია ამ უბანს თავისი აბანოც ჰქონდა. სავაჭრო უბანი ქალაქის ეკონომიკური ბირთვი იყო. თავისი მნიშვნელობით, იგი ცილდებოდა ქალაქის საზრვრებს და ზოგადად კახეთის ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა [111].

[111] იქვე, გვ.,46




A5. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბანი, ისააკ ტორის ფოტო, XX საუკუნის პირველი ნახევარი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
The ruins of Gremi. the shopping district, Photo by Isaak Tori, First half of 20th century, The national parliamentary library of Georgia.

მეოთხე ძირითადი უბანი, ე.წ. **„სამების“** უბანია. იგი განლაგებულია ქალაქის დასავლეთ ნაწილში, სამების ქედზე და წარმოადგენს ციხე-სიმაგრეს თავისი თავდაცვითი სისტემით, სამეურნო ნაგებობებით და წმინდა სამების სახელზე აგებული ეკლესიით. სწორედ მის სახელს ატარებდა უბანიც. კომპლექსი თავდაცვით-რელიგიური ფუნქციის მატარებელია. იგი წარმოადგენს კომპაქტურ, ჩაკეტილ გალავნის მძლავრი კედლებით შეკრულ კომპოზიციას, რომელიც გარემოს დასაზვერ და ქალაქის მთავარ დამცავ სიმაგრეს წარმოადგენდა.

1616 წელს, აღა მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად ქალაქი მთლიანად იყო დანგრეული. მიწისზედა ნაგებობებიდან მხოლოდ ეკლესიები და ქუსლბაქების ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. როსტომ მეფის მემატიანე (XVII ს.) წერს: "იქ მრავალი კარგად ნაშენები სასახლენი დაქცეულდანგრეული ვნახეთ, უკარო და უჭერო, ნადირთ სადგომ-ქმნილნი"[112], ხოლო გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ წინათ მნიშვნელოვან ქალაქ გრემისგან ხუთი ეკლესიაღა არის დარჩენილი[113] და დასძენს, რომ შაჰ აბაზმა კახეთის განადგურებული ქალაქების, მათ შორის გრემის მოსახლეობა ირანის ერთ-ერთ პროვინციაში - მაზანდერანში გადაასახლა, სადაც მათი შთამომავლები გამაჰმადიანდნენ, თუმცა ეხლაც ქართულად ლაპარაკობენო.[114]

[112] ენციკლოპედია „საქართველო“, გრემი, https://georgianencyclopedia.ge/index.php/
[113] გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962, გვ.33
[114] გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ.41




A6. ნაქალაქარი გრემი, ციხე-სიმაგრე „სამება“, გეგმა, პროექტის ხელმძღვანელი მიხეილ გელაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი გიორგი კოტეტიშვილი, 2009 წ., საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
The ruins of Gremi. Sameba Castle. Project manager Mikheil Gelashvili, architect-restorer Giorgi Kotetishvili, 2009. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia.

ქალაქ გრემის ტერიტორიაზე პირველი არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ 1939-1940 წწ. იყო შესრულებული თელავის მუზეუმის ექსპედიციის მიერ, რომელსაც მუზეუმის დირექტორი ალექსანდრე მამულაშვილი ხელმძღვანელობდა. ექსპედიციის მიერ გამოვლენილ-შესწავლილი იყო სავაჭრო უბნის აბანო, სარწყავი არხი[115]. ამავე ექსპედიციის მიერ მოხდა გრემის მიდამოების დაზვერვაც.

შემდეგი, უფრო მასშტაბური ექსპედიცია განხორციელდა 1963-1967 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ, პ.ზაქარაიას ხელმძღვანელობით[116]. XX საუკუნის 80-იან წლებიდან ნაქალაქარის ტერიტორიაზე დაიწყო აზომვითი და სარესტავრაციო სამუშაობი. იმ დროინდელი სამუშაოები ძირითადად, იქ არსებულ ეკლესიებზე განხორციელდა. 2011 წელს ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩატარდა მასშტაბური სარესტავრაციო სამუშაოები, რომელიც ძირითადად მოიცავდა სავაჭრო უბანს.

[115] ალ.მამაულაშვილი, კახეთის ძველი აბანოები, სსმ მოამბე, XIV-B;, მისივე , გრემის სარწყავი არხი, სსმ მოამბე, XI-B

[116] პ.ზაქარაია, ნაქალაქარ გრემის არქიტექტურა, საქ მუზეუმის მოამბე, თბ., 1975; ლ.ჭილაშვილი, კახეთის ქალაქები, თბ., 1990



A7. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, ძეგლის გახსნა-გაწმენდა, თელავის ისტორიული მუზეუმის არქივი, საქაღალდე # 363, ალექსანდრე მამულაშვილის ფოტო , 1939 წ.
The ruins of Gremi. Bath in the shopping district. Archeological excavation and treatment of the monument. Archive of the Telavi History Museum, file #363. Photo by Alexandre Mamulashvili, 1939.




A8. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, ძეგლის გახსნა-გაწმენდა, თელავის ისტორიული მუზეუმის არქივი, საქაღალდე # 364, ალექსანდრე მამულაშვილის ფოტო, 1939 წ.
The ruins of Gremi. Bath in the shopping district. Archeological excavation and treatment of the monument. Archive of the Telavi History Museum, file #364. Photo by Alexandre Mamulashvili, 1939.



A9. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, ძეგლის გახსნა-გაწმენდა, თელავის ისტორიული მუზეუმის არქივი, საქაღალდე # 365, ალექსანდრე მამულაშვილის ფოტო, 1939 წ.

The ruins of Gremi. Bath in the shopping district. Archeological excavation and treatment of the monument. Archive of the Telavi History Museum, file #365. Photo by Alexandre Mamulashvili, 1939.



A10. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, ძეგლის გახსნა-გაწმენდა, თელავის ისტორიული მუზეუმის არქივი, ალექსანდრე მამულაშვილის ფოტო, 1939 წ.
The ruins of Gremi. Bath in the shopping district. Archeological excavation and treatment of the monument. Archive of the Telavi History Museum, Photo by Alexandre Mamulashvili, 1939.

ნაქალაქარ გრემის ისლამური აბანოები

გრემში, რომელიც წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლებულ, სატახტო ქალაქსა და ამავდროულად უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ცენტრს, ბუნებრივია, რომ ქალაქის ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს აბნოები წარმოადგენდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არქეოლოგიური გაწმენდის შედეგად ნაქალაქარის ტერიტორიაზე ორი აბანო იყო გამოვლენილი - სავაჭრო და სამეფო უბანში.

სავაჭრო უბნის აბანო



1. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, საერთო ხედი სამხეთიდან, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The bath of the shopping district. General view from the south. Photo by Lia Bokuchava.

სავაჭრო უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ამჟამინდელი სამანქანო გზის პირას აბანოს ნანგრევებია შემორჩენილი. პირველად აბანო 1940-იან წლებში იყო გამოვლენილ-შესწავლილი ალ.მამულასვილის ექსპედიციის მიერ. მოგვიანებით, ამავე საუკუნის 60-იან წლებში გაწმენდითი სამუშაო გაგრძელდა, ხოლო 2009 წელს მომზადდა და განხორციელდა აბანოს კონსერვაციის პროექტი (არქიტექტორ-რესტავრატორი მ.გელაშვილი).

თელავის მუზეუმის დირექტორი ალ.მამულაშვილი, რომელიც კახეთის აბანოების პირველი მკვლევარი იყო, გრემის ამ აბანოს სახალხო აბანოს უწოდებს[117]. ეს სახელწოდება სავსებით ესადაგება იმ დატვირთვას, რომელსაც ასეთი ჭრელი მოსახლეობითა და მრავალი ჩამოსული უცხო სტუმრით დასახლებულ ხალხმრავალ უბანში არსებული აბანო თავის თავზე იღებდა. ალ. მამულაშვილის კვლევის მიხედვით, აბანო „ნორმალურ პირობებში დაიტევდა 18-20 კაცს. გადატვირთვის დროს კი შეიძლებოდა 30-35 კაცის ბანაობაც“[118].



2. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, საერთო ხედი დასავლეთიდან, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The bath of the shopping district . General view from the south. Photo by Lia Bokuchava.

სავაჭრო უბნის ე.წ. „სახალხო“ აბანო ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. გასახდელ ვესტიბიულისგან და მთავარი საბანაო ნაწილისგან თავისი დამხმარე კომპარტიმენტებით - წყლის რეზერვუარითა და გასათბობი სისტემით. არქეოლოგიური გაწმენდის შედეგად გამოვლენილი და სადღეისოდ უკვე დაკონსერვებული აბანო, გეგმის დონეზეა შემორჩენილი. ნაგებია კვადრატული, ე.წ. „ქართული“ აგურით. შენობა ორიარუსიანი იყო. ქვედა იარუსი ღრმად იყო მიწაში ჩამჯდარი, სავარაუდოთ სითბოს შენარჩუნების მიზნით. აქ მოწყობილი იყო კალორიფერების გამათბობელი სისტემა, რომელიც წარმოადგენდა გეგმაში ოთხკუთხა, აგურით ამოყვანილი სვეტების რიგს. საქვაბედან აქ შემოდიოდა ცხელი ორთქლი, რომლის მეშვეობით თბებოდა ამ სისტემაზე მოწყობილი იატაკი. საწვავ მასალად ნახშირი იყო გამოყენებული[119].

[117] ალ. მამულაშვილი, კახეთის ძველი აბანოები, გვ. 175
[118] ალ. მამულაშვილი, დასახ.ნაშრ., გვ.182
[119] ალ.მამულაშვილი, დასახ.ნაშრ., გვ.181



3. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, კალორიფერების სისტემა, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The bath of the shopping district. The system of heaters. Photo by Lia Bokuchava.



4. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, კალორიფერებზე დაფუძნებული იატაკი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The bath of the shopping district. The system of heaters. Photo by Lia Bokuchava.



5. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, კერამიკული მილები, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The bath of the shopping district. Ceramic tubes. Photo by Lia Bokuchava.



6. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, კერამიკული მილები, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The bath of the shopping district. Ceramic tubes. Photo by Lia Bokuchava.

აბანოს კედლებში შემორჩენილია ცხელი და ცივი წყლისთვის განკუთვნილი კერამიკული მილები. მილებში დაფიქსირებული დიდი რაოდენობის ნალექის მიხედვით მკვლევარნი ვარაუდობენ, რომ აბანოს ხანრძლივი დროის მანძილზე იყენებდნენ.




7. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, ვესტიბიული, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The bath of the shopping district . Lobby. View from the northwest. Photo by Lia Bokuchava.



8. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, ვესტიბიული, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The bath of the shopping district . Lobby. Photo by Lia Bokuchava.

აბანოს ზედა სართული შედგება ათწახნაგა ვესტიბულისგან, რომლის ცენტრში წრიული გეგმის მქონე აუზია მოწყობილი. შესასვლელი ჩრდილოეთი მხრიდან, ერთ-ერთ წახნაგშია გაჭრილი. მის საპირისპიროდ, საბანაო დარბაზში შესასვლელი კარია მოწყობილი. წახნაგებს შიდა მხრიდან, მთელ პერიმეტრზე ნიშები მიუყვება.



A1. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, გეგმა, არქიტექტორ-რესტავრატორი მიხეილ გელაშვილი, 2019წ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი.
The ruins of Gremi. Bath in the shopping district. Plan. Architect-restorer Mikheil Gelashvili, 2019. Archive of the National Agency for Cultural Heritage Preservation Georgia.

მთავარი, საბანაო ნაწილი წარმოადგენს კედლების სწორკუთხედში ჩაწერილ ჯვრულ კომპოზიციას. დარბაზის ჯვარ-გუმბათოვანი კომპოზიცია გართულებული იყო ჯვრის მკლავებს შორის დამატებული სწორკუთხა სათავსებით. ჯვრის მკლავები ოთხივე მხარეს ღრმა სივრცით უბეებს ქმნიან, რომელთაგან შედარებით მოზრდილი, აღმოსავლეთის უბეა. აღმოსავლეთის კუთხის სათავსებში ორივე მხარეს, ერთ მეტრიანი კედლით გამოყოფილი წყლის რეზერვუარია მოწყობილი, რომელშიც ცივი და ცხელი წყალი ჩაედინებოდა. დასავლეთით განთავსებული სათავსები სხვაგვარადაა მოწყობილი. მათგან სამხრეთ-დასავლეთის კვადრატულ სათავსში მილები არ შედის. ჩრდილო-დასავლეთისა უფრო მოზრდილია და მისი მოხაზულობა შენობის ძირითადი კორპუსის გარეთ გადის.



9. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, წყლის რეზერვუარი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The bath of the shopping district. Water tank. Photo by Lia Bokuchava.



10. ნაქალაქარი გრემი, სავაჭრო უბნის აბანო, იატაკი, ლია ბოკუჩავას ფოტო.
The ruins of Gremi. The bath of the shopping district. The floor. Photo by Lia Bokuchava.

ამგვარად, აბანოს ეს მთავარი დარბაზი ცენტრულ, გუმბათიან სივრცეს წარმოადგენდა ოთხივე მხარეს სივრცითი უბეებით და კუთხეებში განთავებული ოთახებით. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ამ ცენტრალურ კომპარტიმენტს დამატებითი სათავსები ეკვრის, რომლებშიც ცხელი და ცივი წყლის სააბაზანოები იყო მოწყობილი. სააბაზანო ოთახის კედლები შელესილი იყო. ყველა სააბაზანო განყოფილების იატაკი კვადრატული აგურით არის დაფარული. იატაკს დაქანება აქვს ცენტრისკენ ნაბანი წყლის გადასაყვანად, რომელიც თავის მხრივ ჩაედინებოდა ვიწრო არხში. ეს უკანასკნელი, კი შენობის გარეთ გადიოდა.

აღმოსავლეთით, საქვაბე განყოფილებაა განთავსებული საცეცხლეთი და წყლის გასაცხელებელი კამაროვანი ავზით. გარდა ამისა, აბანოს ცივი წყლის ორი ავზი ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში.

სამწუხაროდ, სავაჭრო უბნის გეგმის დონეზე შემორჩენილი აბანოს დღევანდელი მდგომარეობა მხოლოდ გეგმის კომპოზიციის ანალიზის საშუალებას იძლევა. როგორ იყო გაფორმებული მისი ინტერიერი მხოლოდ მოსაზრების დონეზე შეიძლება წარმოვიდგინოთ. გეგმის ჯვრული კომპოზიციის მქონე კომპარტიმენტები, როგორც ნებისმიერ აღმოსავლური ტიპის აბანოში გუმბათით სრულდებოდა. უეჭველია ისიც, რომ განათება-განიავებაც გუმბათის ცენტრში არსებული ღიობიდან ხორციელდებოდა. ეს რომ განათების ერთადერთი წყარო იყო, ამაზე არქეოლოგიური გაწმენდის დროს აბანოს ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ჭრაქებიც მეტყველებს[120].

ალ. მამულაშვილი გრემის სახალხო აბანოს XV საუკუნეს მიაკუთვნებს[121]. ამ თარიღს დასაშვებად მიიჩნევენ და XV-XVI საუკუნეების მიჯნით ათარიღებენ ამ აბანოს მკვლევარნი პ.ზაქარაია და ლ.ჭილაშვილი[122].

